

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი



მარიამ პერანიძე

თავდების დაცვის მექანიზმები თავდებობის ურთიერთობის  
ფარგლებში

ნაშრომი წარდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი - გიორგი რუსიაშვილი, ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2021 წელი

სარჩევი

შემოკლებანი ..... IV

აბსტრაქტი ..... V

I. შესავალი ..... 1

II. ზოგადი დახასიათება ..... 3

    ა) თავდებობის ცნება და სამართლებრივი ბუნება ..... 3

    ბ) თავდებობის მიზანი ..... 4

III. თავდებობის ხელშეკრულების ფორმასავალდებულო ხასიათი ..... 5

    1. სსკ-ის 892-ე მუხლი, როგორც თავდების დაცვის სამართლებრივი მექანიზმი..5

        ა) შეთანხმება თავდებსა და კრედიტორს შორის ..... 5

        ბ) ბლანკის მეშვეობით დადებული თავდებობის ხელშეკრულება ..... 8

        გ) ფორმის დარღვევის სამართლებრივი შედეგები ..... 9

        დ) გამონაკლისები ფორმასავალდებულობის მოთხოვნიდან ..... 9

    2. თავდებობის ხელშეკრულების შინაარსობრივი კონტროლი ..... 10

        ა) ზოგადი ..... 10

        ბ) გლობალური თავდებობის თანმდევი რისკი ..... 11

        გ) კონტროლი სსკ-ის 54-ე მუხლის საფუძველზე ..... 12

            აა) ზოგადი ..... 12

            ბბ) ახლო ნათესავის მიერ ნაკისრი თავდებობა ..... 12

            გგ) არასრულწლოვნის მიერ ნაკისრი თავდებობა ..... 16

IV. თავდებობის სპეციალური ფორმები ..... 17

    ა) პირველი მოთხოვნისთანავე თავდებობა ..... 17

    ბ) მოვალის გამოთიშვის თავდებობა ..... 18

    გ) თავდების თავდები ..... 18

    დ) პარტნიორის თავდებობა ..... 19

    ე) დროებითი თავდებობა ..... 20

<b>V. თავდებობის სუბსიდიური ხასიათი - სსკ-ის 894-ე მუხლი</b> .....	20
ა) ზოგადი .....	20
ბ) გამონაკლისი თავდებობის სუბსიდიური ხასიათიდან - სსკ-ის 895-ე მუხლი .....	22
აა) სოლიდარული თავდებობის წარმოშობის საფუძველი და თავდების პასუხისმგებლობა .....	22
1. სხვისი ვალის აღიარება - გამიჯვნა.....	24
გ) აშკარა გადახდისუუნარობა .....	25
დ) სსკ-ის 895-ე მუხლის ანალოგიით გამოყენების შესაძლებლობა .....	25
<b>VI. თავდებობის აქცესორული ხასიათი</b> .....	26
1. ზოგადი .....	26
ა) გამიჯვნა გარანტიის ხელშეკრულებისგან .....	27
ბ) ვალდებულების შეწყვეტის საფუძველები - ძირითადი ვალის გაქარწყლება .....	29
აა) ძირითადი ვალის სრულად გაქარწყლება .....	29
ბბ) ძირითადი ვალის ნაწილობრივ გაქარწყლება .....	31
გ) აქცესორულობის პრინციპი და მტკიცების ტვირთი .....	31
დ) სსკ-ის 893-ე მუხლის იმპერატიული ხასიათი .....	32
ე) გამონაკლისი თავდებობის აქცესორულობის პრინციპიდან .....	32
აა)ძირითადი მოვალის გაკოტრება .....	33
ვ) სხვა გამონაკლისი აქცესორულობის პრინციპიდან .....	33
<b>2. თავდების შესაგებლები</b> .....	34
ა) ზოგადი .....	34
ბ) სსკ-ის 898-ე მუხლით მოცული შესაგებლები .....	35
აა) ხანდაზმულობის შესაგებელი .....	35
ბბ) გამორიცხული შესაგებელი .....	36
გ)ძირითადი მოვალის უარი შესაგებელზე .....	37
<b>3. თავდების პასუხისმგებლობის ფარგლები</b> .....	38

ა) ზღვრული თანხის თავდებობა .....	38
ბ) ძირითადი ვალდებულების ცვლილება - სსკ-ის 898 I ნაწილი .....	39
გ) ვალდებულების დარღვევისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანქციები - სკ-ის 898 II მუხლის ა) ქვეპუნქტი .....	40
დ) დამატებითი მოთხოვნები სკ-ის 898 II მუხლის ბ) ქვეპუნქტის საფუძველზე .....	41
აა) ძირითადი ურთიერთობის მოშლის და პროცესის ხარჯები .....	41
ბბ) სახელშეკრულებო დამატებითი მოთხოვნები - სკ-ის 898 II გ) მუხლი .....	42
ე) თავდების პასუხისმგებლობა წინამორბედ თავდების მიერ ნაკისრი ვალდებულებისთვის .....	42
<b>VII. თავდების რეგრესული მოთხოვნის საფუძველები .....</b>	<b>43</b>
ა) ზოგადი .....	43
ბ) მოთხოვნა თავდებსა და მოვალეს შორის არსებული შიდა ურთიერთობის საფუძველზე .....	44
გ) 905-ე მუხლი, როგორც რეგრესული მოთხოვნის საფუძველი .....	44
დ) რეგრესული მოთხოვნა თანათავდებობის დროს .....	46
ე) რეგრესული მოთხოვნა სხვა უზრუნველყოფის საშუალების არსებობის პირობებში .....	47
<b>VIII. დასკვნა .....</b>	<b>49</b>
<b>IX. ბიბლიოგრაფია .....</b>	<b>51</b>

## **შემოკლებანი**

### **ქართულ ენაზე:**

გსკ - გერმანიის სამოქალაქო კოდექსი

ე.ი. - ესე იგი

ე.წ. - ეგრეთ წოდებული

იხ. - იხილეთ

კს - კომანდიტური საზოგადოება

მაგ. - მაგალითად

რედ. - რედაქტორი

სხვ. - სხვა

სს-სააქციო საზოგადოება

სსკ-საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

სსსკ - საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

სპს - სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება

შპს - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ციტ. - ციტირებული

### **უცხოურ ენებზე:**

Aufl. – Auflage

BGB - Bürgerliches Gesetzbuch

MüKoBGB - Münchener Kommentar

Rn – Randnummer

Pg. – Page

Vol. – Volume

## აბსტრაქტი

თავდებობა ერთ-ერთი ეფექტური და ხშირად გამოყენებადი მეთოდია საკრედიტო ურთიერთობებში. შესაბამისად, თავდების დაცვითი ფუნქციების მნიშვნელობის გააზრება უფრო და უფრო აქტუალური საკითხი ხდება.

ნაშრომში განხილულია თავდებობის მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმები და პარალელი არის გავლებული გერმანულ და ანგლო-ამერიკულ სამართალთან. ამასთან, განხილულია სასამართლო პრაქტიკა და ის პრობლემატური საკითხები, რომლებიც არსებობს კანონმდებლობაში. განსაკუთრებული ყურადღება არის გამახვილებული თავდებობის ფორმაზე და მის შინაარსობრივ კონტროლზე. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია როგორ ხდება თავდების დაცვა სოლიდარული და სუბსიდიური თავდებობის დროს. ყველაფერთან ერთად, ხაზგასასმელია რეგრესული მოთხოვნის მნიშვნელობა თანათავდებობის დროს და უზრუნველყოფის სხვა ღონისძიების არსებობის პირობებში. გასაკვირი არ არის, რომ თემის აქტუალურობას განაპირობებს თავად ამ ინსტიტუტის მზარდი გამოყენება საკრედიტო ურთიერთობებში.

იქიდან გამომდინარე, რომ პრობლემა სახეზეა, ხოლო ამ საკითხის ირგვლივ არც თუ ისე ბევრი კვლევაა ჩატარებული, ვფიქრობ, თემა საინტერესო და გამოსადეგი იქნება პრაქტიკოსი იურისტებს თუ ზოგადად ამ საკითხით დაინტერესებული ადამიანებისთვის. ვიმედოვნებ, აღნიშნული ნაშრომი მათ დაეხმარება საკითხის უკეთ გაცნობაში და პრობლემების გადაჭრაში.

## Abstract

Guarantee is one of the most effective and frequently used methods in credit relations. Consequently, understanding the importance of the protective functions of the guarantor becomes an increasingly relevant issue.

The paper discusses the legal norms governing suretyship and draws parallels between German and Anglo-American law. In addition, judicial practice and the problematic issues that exist in the legislation are discussed. Particular attention is paid to the form of suretyship and its content control. Also, it is important how the guarantor is protected during a joint and several subsidy. With everything, the importance of regressive demand in the presence of co-surety and other collateral measures should be emphasized. Not surprisingly, that the actuality of the topic is due to the growing use of this institution in credit relations.

Given, that the problem is in the face and not so much research has been done on this issue, I think the topic will be interesting and useful for practicing lawyers or to people interested in the topic in general. I hope this topic may help them to better understand the issue and solve practical problems.

## I. შესავალი

თავდებობა, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება არის ერთ-ერთი პოპულარული და ხშირად გამოყენებადი მეთოდი სამართლებრივ ურთიერთობებში. თავდები, რომელიც გაუაზრებლად თუ გააზრებულად ზიდავს პასუხისმგებლობის ამ ტვირთს თითქმის ყველა შემთხვევაში დავობს სასამართლოში და ამ გზით ცდილობს თავის დაცვას. შესაბამისად, თავდების დაცვითი მექანიზმების გამოყენება თავდებობის ურთიერთობის ფარგლებში მეტად აქტუალური საკითხია. ხოლო აღნიშნული აქტუალურობა გამომდინარეობს, თავად თავდებობის გამოყენების მიზნიდან და დანიშნულებიდან.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს თავი მოუყაროს ყველა იმ სამართლებრივ შესაძლებლობას, რომელიც თავდებს აქვს მინიჭებული კანონმდებლობით და მას დაცვითი ფუნქციით აღჭურავს. ასევე, ნაშრომში გაწერილია ის სამართლებრივი პრობლემები, რომლებიც დღემდე დისკუსიის საგანია და შემოთავაზებულია პრობლემის გადაჭრის გზები.

ნაშრომის კვლევის საფუძვლად გამოყენებულია როგორც დოგმატური, ასევე ნორმატიული კვლევის მეთოდები. გარდა ამისა, ნაშრომი უპირატესად აგებულია შედარებითსამართლებრივი ანალიზის მეთოდის საფუძველზე, ძირითადად, გერმანულ და ცალკეულ ნაწილებში ანგლო-ამერიკულ სამართალთან მიმართებით.

წინამდებარე ნაშრომი შედგება შესავლის, ძირითადი ნაწილისა და დასკვნისაგან. ძირითადი ნაწილი, როგორც ბირთვი ამ ნაშრომისა დაყოფილია ექვს თავად, რომელიც თავის მხრივ ქვეთავებადაა ჩაშლილი. ვიმედოვნებ, ნაშრომში დასმული საკითხები ნათელს მოჰფენს იმ სამართლებრივ რეალობას, რომლის წინაშეც ქართული კანონმდებლობა დგას და შემოთავაზებული პრობლემის გადაწყვეტის გზები იქნება ყოვლისმომცველი და დასაბუთებული.

ნაშრომის პირველი ნაწილი წარმოადგენს შესავალს, ხოლო მეორე ნაწილი უშუალოდ ეხება თავდებობის სამართლებრივ ბუნებას და მიზანს. მეორე თავში მოკლედ არის განხილული თავდებობისთვის დამახასიათებელი სამართლებრივი ბუნება და ამასთან, ხაზგასმულია მიზანი, რისთვისაც ესოდენ ხშირად გამოიყენება აღნიშნული ინსტიტუტი.

ნაშრომის მესამე ნაწილი ეხება თავდებობის ფორმასავალდებულო ხასიათს, მის მნიშვნელობას და იმ გამონაკლისებს, რომლებიც არ მოითხოვს თავდებობის ხელშეკრულების წერილობითი ფორმით დადებას. ამასთან, ხაზგასმულია



წერილობითი ფორმის ფუნქციის მნიშვნელობა. გარდა ამისა, ამ ნაწილში საუბარია თავდებობის შინაარსობრივ კონტროლზე როგორც ამორალურობის, ისე სტანდარტულ პირობებთან მიმართებით. შესაბამისად, განხილულია როგორც ქართული, ისე უცხოური სასამართლო პრაქტიკა.

მეოთხე ნაწილში განხილულია თავდებობის სპეციალური ფორმები და მოკლედ არის მიმოხილული ის მახასიათებლები, რაც ამ სპეციფიკურ ფორმებს ახასიათებს, უპირატესად, გერმანული სამართლის მაგალითზე.

ნაშრომის მეხუთე თავი ეძღვნება თავდებობის სუბსიდიურ ბუნებას, მის მნიშვნელობასა და მახასიათებლებს. ამასთან, თავდებობა გამიჯნულია სხვისი ვალის აღიარების ინსტიტუტისგან და დახასიათებულია ის ერთადერთი გამონაკლისი - სოლიდარული თავდებობის სახით, რომელიც არსებობს თავდებობის სუბსიდიური ბუნებიდან.

მეხუთე თავში საუბარია თავდებობის აქცესორულ ხასიათზე. გამიჯნულია თავდებობა გარანტიის ხელშეკრულებისგან. აგრეთვე, ამ ნაწილში განხილულია ყველა იმ შესაგებლის წარდგენის შესაძლებლობა, რომელიც თავდებს კანონმდებლობით აქვს მინიჭებული. ცალკე ქვეთავი ეძღვნება თავდების პასუხისმგებლობის ფარგლებს და ხაზგასმითაა აღნიშნული ზღვრული თანხის თავდებობის მნიშვნელობა და დანიშნულება.

ნაშრომის მეექვსე ნაწილი ეხება რეგრესული მოთხოვნის საფუძვლებს, როგორც მოვალის მიმართ, ასევე თანათავდებთა შორის. ყურადსაღებია როგორ ხდება რეგრესული მოთხოვნა უზრუნველყოფის სხვა ღონისძიების არსებობის პირობებში და ამ მხრივ განხილულია სასამართლო პრაქტიკა.

დასკვნაში შეჯამებულია შედეგები და აღწერილია ყველა ის ძირითადი საკითხი, რომელიც თემის აქტუალობიდან გამომდინარეობს. ამასთან, შემოთავაზებულია ძირითადი თეზისები და ხაზგასმულია ის მნიშვნელოვანი საკითხები, რაც კვლევის დროს გამოიკვეთა.

## II. ზოგადი დახასიათება

### ა) თავდებობის ცნება და სამართლებრივი ბუნება

კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში გამოიყენება უზრუნველყოფის მრავალი საშუალება.<sup>1</sup> ერთ-ერთი არის თავდებობის ინსტიტუტი, რომელიც კრედიტის უზრუნველყოფის სამართლის შემადგენელი ნაწილი<sup>2</sup> და მოთხოვნის პიროვნული უზრუნველყოფის საშუალება გახლავთ.<sup>3</sup> თავდებობის საფუძველზე, თავდები პასუხს აგებს ინდივიდუალურად.<sup>4</sup> სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თავდებობა არ განსაზღვრავს კონკრეტულ უძრავ ნივთზე მოთხოვნის უფლებას, არამედ ეს არის თავდების პირადი პასუხისმგებლობა, რომლის შესრულებაზეც იგი პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით.<sup>5</sup>

ერთმანეთისგან გასამიჯნია პიროვნული და ნივთობრივი (გირავნობა, იპოთეკა) უზრუნველყოფის საშუალებები. ამ უკანასკნელის დროს, პასუხისმგებლობა ეკისრება უზრუნველყოფის საშუალების მესაკუთრეს, ე. ი., იგი პასუხს აგებს მხოლოდ დატვირთული ნივთის ფარგლებში.<sup>6</sup> ამისგან განსხვავებით, პიროვნული უზრუნველყოფის საშუალების გამოყენების დროს მნიშვნელოვანია განისაზღვროს უზრუნველყოფის გამცემის გადახდისუნარიანობის ფაქტი, რადგან სწორედ მასზეა დამოკიდებული კრედიტორის მოთხოვნის განხორციელება.<sup>7</sup> სამოქალაქო სამართალში მოქმედი ნების თავისუფლების პრინციპის გათვალისწინებით, სწორედ მხარეთა განსასაზღვრია კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობაში რომელი უზრუნველყოფის საშუალების გამოყენება სურთ.<sup>8</sup> გარდა ამისა, როგორც თავდებობა, ისე სანივთო უზრუნველყოფის საშუალებები, დღეს, გამოყენების თვალსაზრისით, კანონით თანაბარ საფეხურზე დგანან. ანუ, საჭიროების

<sup>1</sup> *რობაქიძე*, ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი, 539.

<sup>2</sup> *რუსიაშვილი გ.*, თავდებობის ხელშეკრულება, მისი გამოჯენა მსგავსი ტიპის შეთანხმებებისაგან და სპეციალური ფორმები, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 1/2020, 20.

<sup>3</sup> *ჭანტურია ლ.*, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., 2012, 182.

<sup>4</sup> *MüKoBGB/Habersack*, 8. Aufl. 2020, BGB § 765 Rn. 2.

<sup>5</sup> *MüKoBGB/Habersack*, 8. Aufl. 2020, BGB § 765 Rn. 1.

<sup>6</sup> *რუსიაშვილი გ.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gcc.ge, მუხ. 891, ველი 2.

<sup>7</sup> *რობაქიძე*, ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი, 541.

<sup>8</sup> *შოთაძე თ.*, სანივთო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისთვის, ჯუღელი გ. (რედ.), თბ., 2014, 275.

შემთხვევაში, თავდებობის გამოყენება არ უშლის ხელს უზრუნველყოფის სანივთო საშუალების გამოყენებას და პირიქით.<sup>9</sup> შესაბამისად, მოთხოვნა შესაძლებელია უზრუნველყოფილი იყოს როგორც სანივთი, ისე პიროვნული უზრუნველყოფის საშუალების გამოყენებით.

აღსანიშნავია, რომ თავდებობის ინსტიტუტს ძალიან ხშირად მიმართავენ საბანკო დაწესებულებები კრედიტის გაცემის დროს. გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ თავდებობა მეტად პოპულარული ინსტიტუტია, რადგან კანონი თავდების ქონების გასხვისების აკრძალვის ვალდებულებას არ ითვალისწინებს. მიუხედავად ამისა, თავდებობის ურთიერთობის დროს თავდების ქონების გასხვისების მიზანი ნაკისრი პასუხისმგებლობისგან თავის არიდება არ უნდა იყოს.<sup>10</sup>

გასათვალისწინებელია, რომ თავდებობა აქცესორული და ამავედროულად სუბსიდიური ხასიათისაა. თავდებობის აქცესორულობა გამოხატულია იმაში, რომ იგი ძირითადი ვალდებულების არსებობაზეა დამოკიდებული.<sup>11</sup> ხოლო, სუბსიდიური ბუნების მნიშვნელობა გამომდინარეობს იქიდან, რომ კრედიტორმა, უპირველესად, მოთხოვნა უნდა წაუყენოს ძირითად მოვალეს და მისგან სცადოს მოთხოვნის დაკმაყოფილება. მხოლოდ უშედეგო მცდელობის შემდეგ მიმართოს თავდებს.<sup>12</sup>

ყველაფერთან ერთად, ყურადსაღებია, რომ თავდებობის ძალით წარმოიშობა სამხრივი ურთიერთობა კრედიტორს, ძირითად მოვალესა და თავდებს შორის. მიუხედავად ამისა, თავდებობის ხელშეკრულება იდება უშუალოდ თავდებსა და კრედიტორს შორის<sup>13</sup> და აღნიშნულით გამოხატულია კრედიტორის მოთხოვნა თავდების მიმართ.<sup>14</sup>

## **ბ) თავდებობის მიზანი**

ყველა უზრუნველყოფის საშუალებას აქვს ერთი მიზანი - ვალდებულების შეუსრულებლობის რისკის პრევენცია.<sup>15</sup> სწორედ აღნიშნულ მიზანს ემსახურება

---

<sup>9</sup> *კროპპოლერი ი.*, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, § 774, ველი 8.

<sup>10</sup> *მესხიშვილი ქ.*, კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, თეორია და სასამართლო პრაქტიკა, ტომი I, თბ., 2020, 29.

<sup>11</sup> *MüKoBGB/Habersack*, 8. Aufl. 2020, BGB § 767 Rn. 3.

<sup>12</sup> *ჭანტურია ლ.*, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., 2012, 190.

<sup>13</sup> *Bingham/Hirsch*, *The German Law of Contract, A Comparative Treatise*, 160.

<sup>14</sup> *MüKoBGB/Habersack*, 8. Aufl. 2020, BGB § 765 Rn. 3.

<sup>15</sup> *რობაქიძე*, ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი, 540.

თავდებობის კისრება, რათა ამ უკანასკნელის ძალით იქნას უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნა ძირითადი მოვალის მიმართ.<sup>16</sup> თუმცა ის ფაქტი, რომ სახეზეა თავდებობის ხელშეკრულება ხელს არ უშლის და არც ამართლებს მოსამართლეს არ დაინტერესდეს დადებული ხელშეკრულების შინაარსით.<sup>17</sup>

### III. თავდებობის ხელშეკრულების ფორმასავალდებულო ხასიათი

#### 1. სსკ-ის 892-ე მუხლი, როგორც თავდების დაცვის სამართლებრივი მექანიზმი

##### ა) შეთანხმება თავდებსა და კრედიტორს შორის

თავდებობა წარმოიშობა კრედიტორსა და თავდებს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.<sup>18</sup> თავდების დაპირება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.<sup>19</sup> შედეგად, თავდებს შესაძლებლობა აქვს წინასწარ გააცნობიეროს დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოსალოდნელი საფრთხეები.<sup>20</sup> აღსანიშნავია, რომ სსკ ხელშეკრულების წარმომადგენლის მეშვეობით დადების შესაძლებლობას იძლევა.<sup>21</sup> ამავდროულად, თავდებად შეიძლება მოგვევლინოს არა მხოლოდ ფიზიკური პირები, არამედ იურიდიული პირები და სახელმწიფო.<sup>22</sup> სსკ-ის 892 (I) მუხლი იმეორებს გსკ-ის 766-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის მოთხოვნებს, თუმცა ნორმა დამატებით უთითებს თავდებობის დოკუმენტში (ხელშეკრულებაში) მაქსიმალური თანხის მითითებაზე. დღევანდელი მოსაზრებით, წერილობითი ფორმის დაცვა სავალდებულო არის მთლიანად თავდებობის ხელშეკრულებისთვის და არა მხოლოდ თავდების ნების გაცხადებისთვის.<sup>23</sup>

კრედიტორსა და თავდებს შორის ხელშეკრულების დადების დროს, ისევე, როგორც სხვა ტიპის ხელშეკრულების გაფორმების დროს,

<sup>16</sup> რუსიაშვილი გ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge, მუხ. 891, ველი 6.

<sup>17</sup> Pieck, Manfred (1996) A Study of the Significant Aspects of German Contract Law, *Annual Survey of International & Comparative Law*: Vol. 3: Iss. 1, Article 7, 172.

<sup>18</sup> MüKoBGB/Habersack, 8. Aufl. 2020, BGB § 765 Rn. 4.

<sup>19</sup> Pieck, Manfred (1996) A Study of the Significant Aspects of German Contract Law, *Annual Survey of International & Comparative Law*: Vol. 3: Iss. 1, Article 7, 171.

<sup>20</sup> ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., 2012, 187.

<sup>21</sup> MüKoBGB/Habersack, 8. Aufl. 2020, BGB § 765 Rn. 11.

<sup>22</sup> ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., 2012, 186.

<sup>23</sup> რუსიაშვილი გ., ქავშაია ნ., თავდებობის ხელშეკრულების დადება და მისი შინაარსი, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 2/2020, 28.

გასათვალისწინებელია სსკ-ის მოთხოვნები. მაგალითისთვის, იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულება იდება არასრულწლოვან პირთან, მოქმედებს სსკ-ის 186 II მუხლი.<sup>24</sup> კერძოდ, ხელშეკრულება უნდა მოიწონოს კანონიერმა წარმომადგენელმა.<sup>25</sup> გარდა ამისა, ხელშეკრულება სავალდებულო წესით უნდა შეიცავდეს არსებით პირობებს. კერძოდ, ინფორმაციას კრედიტორის, მოვალის და უზრუნველსაყოფი მოთხოვნის მოცულობის შესახებ.<sup>26</sup> ასევე, სსკ-ის 892 I მუხლის მოთხოვნით, ხელშეკრულებაში სავალდებულოა მიეთითოს თავდების პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრული მაქსიმალური თანხა.

ხელშეკრულების წერილობითი ფორმით დადებას თავისი ფუნქცია გააჩნია. უპირველესად, ეს გახლავთ მხარეთა გაფრთხილება მოსალოდნელი პასუხისმგებლობისათვის. ამასთან, ფორმას გააჩნია მტკიცებითი ფუნქციაც, რათა დავის შემთხვევაში უფრო მკაფიო გახდეს მხარეთა განზრახვის დადგენა.<sup>27</sup> საბოლოოდ, ნორმა, რომელიც ითხოვს ფორმის დაცვას იცავს გამოუცდელ ადამიანს ნაჩქარევი გადაწყვეტილების მიღებისგან.<sup>28</sup> აქედან გამომდინარე, აღნიშნულს ერთგვარი „პრევენციული ფუნქციაც“ გააჩნია.<sup>29</sup> ფორმის მოთხოვნების დაცვა ასევე სავალდებულოა ინგლისშიც როგორც თავდებობის ხელშეკრულების დადების დროს ასევე, უძრავ ქონებებთან მიმართებით.<sup>30</sup> კერძოდ, ინგლისში თავდებობა უნდა გაფორმდეს კონკრეტული აქტით ან მემორანდუმის სახით, რომელსაც ხელი უნდა მოაწეროს თავდებმა. თავისთავად, თავდებობა იქაც განიხილება როგორც საფრთხის შემცველი გარიგება, რადგან თავდები ვერ იღებს სანაცვლოდ საპირისპირო შესრულებას.<sup>31</sup> შესაბამისად, თავდებობის ხელშეკრულება მიიჩნევა ცალმხრივ ხელშეკრულებად, რადგან აქ მხოლოდ თავდებია ის პირი, ვინც ასრულებს.<sup>32</sup> სხვა მოსაზრებით, თავდებობის

<sup>24</sup> *რუსიაშვილი გ.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge, მუხ. 891, ველი 8.

<sup>25</sup> *E. J. Cohn*, validity of guarantees for debts of minors, *Modern law review*, vol. 10, Jan. 1947, 42.

<sup>26</sup> *კროპოლერი ი.*, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, § 766, ველი 1.

<sup>27</sup> *Bingham/Hirsch*, *The German Law of Contract, A Comparative Treatise*, 84.

<sup>28</sup> *ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ.*, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი II, ნინიძე თ. (რედ.), თბ., 2001, 53.

<sup>29</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1801-2019.

<sup>30</sup> *ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ.*, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი II, ნინიძე თ. (რედ.), თბ., 2001, 60.

<sup>31</sup> *Bingham/Hirsch*, *The German Law of Contract, A Comparative Treatise*, 161.

<sup>32</sup> *Cherednychenko O.*, *Fundamental Rights, Contract Law and the Protection of the Weaker Party*, 2007, 268.

ხელშეკრულება არ არის ცალმხრივად სავალდებულო ხასიათის. კერძოდ, როდესაც თავდები კისრულობს თავდებობას იმ პირობით, რომ ძირითადად მოვალემ მიიღოს დამატებითი კრედიტი, შესაძლოა, რომ თავდებობა ამ შემთხვევაში სულაც არ ატარებდეს ცალმხრივი ხელშეკრულების ბუნებას.<sup>33</sup>

ამასთან, თავდებობა კაუზალური გარიგებაა. ანუ, ხელშეკრულების გარდა დამატებითი შეთანხმება მხარეთა შორის საჭირო არ არის. მეტიც, თავდებობა შესაძლოა მოვალის ცოდნისა და ნების საწინააღმდეგოდ გაფორმდეს, რადგან მის ნამდვილობაზე გავლენას არ ახდენს თავდებსა და ძირითად მოვალეს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა.<sup>34</sup> საინტერესოა, აქვს თუ არა თავდებს შეცილების უფლება იმ საფუძველზე მითითებით, რომ მას მოვალის გადახდისუნარიანობასთან დაკავშირებით არასწორი წარმოდგენა ჰქონდა. სსკ - ის 74 I მუხლის თანახმად, არ აქვს თავდებს ამაზე აპელირების საშუალება და ვერც სსკ-ის 398-ე მუხლზე მიუთითებს.<sup>35</sup> ამისგან განსხვავებით, როდესაც მოტყუებას აქვს ადგილი, თავდებს სსკ-ის 83 I მუხლის მიხედვით, შეუძლია კრედიტორს განუცხადოს შეცილება, თუ ამ უკანასკნელმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა მოტყუების შესახებ.<sup>36</sup>

ამრიგად, თავდებობის ძალით დგება თავდების პიროვნული პასუხისმგებლობა, რადგან იგი თანხმობას აცხადებს პასუხი აგოს მთელი თავისი ქონებით. თავდებობა კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, არსებობს, როგორც ხელშეკრულებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობა მხოლოდ კრედიტორსა და თავდებს შორის.<sup>37</sup> გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ თავდებობის ხელშეკრულების შესრულება თავდების ვალდებულებაა და აღნიშნული არ წარმოადგენს უბრალოდ პასუხისმგებლობას სხვისი ვალისთვის.<sup>38</sup> ყველაფერთან ერთად, ხაზგასასმელია, რომ თავდები და ძირითადი მოვალე იდენტური პირები არ უნდა იყვნენ, რადგან არალოგიკურია, მოვალემ საკუთარი თავით უზრუნველყოს თავდებობა.<sup>39</sup>

---

<sup>33</sup> MüKoBGB/Habersack, 8. Aufl. 2020, BGB § 765 Rn. 6.

<sup>34</sup> MüKoBGB/Habersack, 8. Aufl. 2020, BGB § 765 Rn. 3.

<sup>35</sup> რუსიაშვილი გ., ქავშაია ნ., თავდებობის ხელშეკრულების დადება და მისი შინაარსი, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 2/2020, 25.

<sup>36</sup> BGH NJW 2001, 2469. მითითებულია: რუსიაშვილი გ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge, მუხ. 891, ველი 10.

<sup>37</sup> MüKoBGB/Habersack, 8. Aufl. 2020, BGB § 765 Rn. 1.

<sup>38</sup> რუსიაშვილი გ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge, მუხ. 891, ველი 3.

<sup>39</sup> ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., 2012, 186.

## ბ) ბლანკის მეშვეობით დადებული თავდებობის ხელშეკრულება

გსკ-ის 766-ე პარაგრაფის მეორე ნაწილი (ანალოგი სსკ-ის 892 I მუხლი) ვრცელდება ასევე ბლანკის შევსების უფლებამოსილებაზეც.<sup>40</sup> ამ შემთხვევაში, თავდები უფლებამოსილებას ანიჭებს მესამე პირს, რომ ამ უკანასკნელმა შეავსოს ცარიელი ბლანკის ნაწილი. თავად თავდები კი ხელს აწერს მხოლოდ ბლანკს.<sup>41</sup> კერძოდ, გაცემული უფლებამოსილების ფარგლებში მესამე პირმა უნდა შეავსოს ბლანკის ცარიელი ნაწილი ხელშეკრულებასთან დაკავშირებული არსებითი პირობებით.<sup>42</sup> ამასთან, წერილობითი უფლებამოსილება შეიძლება ჩაანაცვლოს ნოტარიულად დამოწმებულმა დოკუმენტმა.<sup>43</sup> აღსანიშნავია, რომ უფლებამოსილების მინიჭება შესაძლებელია ნებისმიერი პირისთვის, მათ შორის კრედიტორისთვისაც. კრედიტორს, თავის მხრივ, შეუძლია ბოროტად გამოიყენოს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება.<sup>44</sup> ასეთ შემთხვევაში, თავდებმა უნდა ამტკიცოს, რომ ცარიელი ნაწილი შევსებულია მინიჭებული უფლებამოსილების გადამატებით (BGH NJW-RR 1989, 1324).<sup>45</sup>

ამასთან, თუ თავდების მხრიდან უფლებამოსილება შესაბამისი ფორმით არის გაცემული, იგი ატარებს ბლანკის სწორად შევსების რისკს.<sup>46</sup> ხოლო, შესაბამისი ნებართვის გარეშე შევსებული თავდებობის ხელშეკრულება არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს თავდებისათვის, მაშინაც კი, თუ იგი მიღებულ იქნა თავდების მიერ.<sup>47</sup> გარდა ამისა, როდესაც გაცემული უფლებამოსილება არ აკმაყოფილებს ფორმის მოთხოვნებს, თავდებმა შესაძლოა პასუხისმგებლობას თავი მაინც ვერ აარიდოს. კერძოდ, თავდები პასუხს აგებს თუ კრედიტორი დაამტკიცებს, რომ დოკუმენტაცია, რომელიც მას ხელთ აქვს თავდების ხელმოწერით არის სრული და იგი არანაირი არსებითი პირობებით არ შეცვლილა ან განვრცობილა.<sup>48</sup> ამასთან, თავდების პასუხისმგებლობა შესაძლოა დადგეს იმისთვის, რომ მან მოჩვენებითი გარემოება წარმოშვა ბლანკზე

<sup>40</sup> *Jauernig/Stadler*, 18. Aufl. 2021, BGB § 766 Rn. 1.

<sup>41</sup> *რუსიაშვილი გ., ქავშბაია ნ.*, თავდებობის ხელშეკრულების დადება და მისი შინაარსი, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 2/2020, 28.

<sup>42</sup> *კროპპოლერი ი.*, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, § 766, ველი 1.

<sup>43</sup> *MüKoBGB/Habersack*, 8. Aufl. 2020, BGB § 766 Rn. 22.

<sup>44</sup> *MüKoBGB/Habersack*, 8. Aufl. 2020, BGB § 766 Rn. 24.

<sup>45</sup> *Jauernig/Stadler*, 18. Aufl. 2021, BGB § 766 Rn. 5.

<sup>46</sup> *MüKoBGB/Habersack*, 8. Aufl. 2020, BGB § 766 Rn. 24.

<sup>47</sup> *MüKoBGB/Habersack*, 8. Aufl. 2020, BGB § 766 Rn. 23.

<sup>48</sup> *კროპპოლერი ი.*, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, § 766, ველი 1.

ხელმოწერით. კერძოდ, თითქოს იგი გაეცნო ხელშეკრულებას, მოიწონა და შესაბამისად, აღნიშნულის გამო მეორე მხარეს ნდობა გაუჩნდა ხელშეკრულებისადმი.<sup>49</sup> საბოლოოდ, დღეის მდგომარეობით, დასაშვებია<sup>50</sup> ბლანკის მეშვეობით დადებული თავდებობის ხელშეკრულების ნამდვილობა სსკ-ის 892 I მუხლის მიხედვით. ამისთვის იგი უნდა აკმაყოფილებდეს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს.<sup>51</sup>

### გ) ფორმის დარღვევის სამართლებრივი შედეგი

ფორმის მოთხოვნის დაუცველად დადებული თავდებობის ხელშეკრულება სსკ-ის 59 I მუხლის თანახმად არის ბათილი. ქართული კანონმდებლობისგან განსხვავებით, გსკ-ის 766-ე პარაგრაფის მესამე ნაწილი უშვებს გამონაკლისს. კერძოდ, ფორმის ნაკლი სწორდება თუ თავდები ასრულებს ვალდებულებას.<sup>52</sup> აღსანიშნავია, რომ მსგავსს სამართლებრივ ნორმას ჩვენი კანონმდებლობა არ იცნობს.

### დ) გამონაკლისები ფორმასავალდებულობის მოთხოვნიდან

სსკ-ის 892-ე მუხლი უშვებს გამონაკლისს ფორმასავალდებულობიდან. კერძოდ, II ნაწილის მიხედვით, პროფესიული საქმიანობის ფარგლებში გაცხადებული თავდებობა არ მოითხოვს წერილობითი ფორმის დაცვას. შესაბამისად, ფორმის დაცვა არ არის საჭირო, როდესაც თავდებად დგება მეწარმე სუბიექტი კომერციული გარიგების სახით.<sup>53</sup> ამავე მიდგომას იზიარებს ავსტრიული და ფრანგული სამართალი იმ მოტივით, რომ მეწარმე სუბიექტს აქვს საკმარისი ცოდნა და გამოცდილება განსაზღვროს ხელშეკრულებიდან გამომდინარე რისკები. შესაბამისად, მან პასუხი უნდა აგოს საკუთარ ქმედებაზე.<sup>54</sup> თუმცა, იმავე დანაწესი არ მოქმედებს შპს-ს, სპს-ს და კს-ს პარტნიორებისათვის, როდესაც ეს უკანასკნელები თავდებად უდგებიან საზოგადოებას. მოცემული

<sup>49</sup> *რუსიაშვილი გ., ქავშაია ნ.*, თავდებობის ხელშეკრულების დადება და მისი შინაარსი, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 2/2020, 29.

<sup>50</sup> ამის საპირისპიროდ იხ. *krüger creditsicherungsrecht* S. 6. მითითებულია: *ჰანტურია ლ.*, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., 2012, 188.

<sup>51</sup> *რუსიაშვილი გ., ქავშაია ნ.*, თავდებობის ხელშეკრულების დადება და მისი შინაარსი, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 2/2020, 28.

<sup>52</sup> *HK-BGB/Ansgar Staudinger*, 10. Aufl. 2019, BGB § 766, Rn.5.

<sup>53</sup> *კროპპოლერი ი.*, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, § 767, ველი 2.

<sup>54</sup> *ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ.*, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი II, ნინიძე თ. (რედ.), თბ., 2001, 58.



გამონაკლისი ეყრდნობა იმ დაშვებას, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ვაჭრის სტატუსით წარმომდგარი არის თავად საზოგადოება და არა პარტნიორი.<sup>55</sup>

საქართველოში, ზემოაღნიშნული ნორმა არასწორად არის ინტერპრეტირებული, რადგან ფორმასავალდებულოობის მოთხოვნა არ ვრცელდება ასევე პირზე, თუ ეს უკანასკნელი თავისი „პროფესიული საქმიანობის“ ფარგლებში კისრულობს თავდებობას.<sup>56</sup> მიუხედავად ამ გამონაკლისისა, პრაქტიკაში ძალიან იშვიათია შემთხვევა, როდესაც საბანკო დაწესებულება წერილობითი ფორმის გარეშე აკისრებინებს პირს თავდებობას. ამასთან, თავდები ვერ მიუთითებს უფლების ბოროტად გამოყენებაზე (სსკ-ის 115-ე მუხლი) თუ იგი კრედიტორს მოატყუებს ფორმასთან დაკავშირებით ან მნიშვნელოვან სარგებელს მიიღებს ხელშეკრულებიდან.<sup>57</sup>

## 2. თავდებობის ხელშეკრულების შინაარსობრივი კონტროლი

### ა) ზოგადი

თავდებობის ხელშეკრულების შინაარსობრივი კონტროლი მნიშვნელოვანია, რადგან მხოლოდ კოდექსში გაწერილი ნორმები თავდებობასთან მიმართებით ვერ უზრუნველყოფს თავდების დაცვას. დავის წარმოშობის შემთხვევაში მოსამართლე ამოწმებს ხელშეკრულების სამართლებრივ საფუძვლებს, როგორც სტანდარტულ პირობებთან, ისე ამორალურ გარიგებებთან მიმართებით. სწორედ გლობალური თავდებობა და ახლო ნათესავის მიერ ნაკისრი თავდებობა გახლავთ ის შემთხვევები, როდესაც სასამართლო განსაკუთრებული გულისხმიერებით ამოწმებს მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების შინაარსს.<sup>58</sup>

<sup>55</sup> BGHZ 121, 228. მითითებულია: *რუსიაშვილი გ.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge, მუხ. 892, ველი 13.

<sup>56</sup> *რუსიაშვილი გ., ქავშაია ნ.*, თავდებობის ხელშეკრულების დადება და მისი შინაარსი, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 2/2020, 30.

<sup>57</sup> BGHZ 26, 151. მითითებულია: *რუსიაშვილი გ.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, მუხ. 892, ველი 16.

<sup>58</sup> *რუსიაშვილი გ.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, მუხ. gccc.ge, მუხ. 891, ველი 12.

## ბ) გლობალური თავდებობის თანმდევი რისკი

გლობალური თავდებობა უზრუნველყოფს ყველა ამჟამინდელ და სამომავლო მოთხოვნას (მათ შორის საქმიანი ურთიერთობებიდან გამომდინარე), რომლის ჯამური მოცულობა მხოლოდ ტექნიკურად არის დაჯამებული ხელშეკრულებაში. შესაბამისად, გლობალური თავდებობის დროს ხშირად თავდებისთვის ძნელად გასაანალიზებელია ის რისკები, რომელიც აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმებას სდევს თან.<sup>59</sup> რა თქმა უნდა, პასუხისმგებლობის ამგვარი გაფართოება კიდევ უფრო აქტუალურს ხდის დაცვითი მექანიზმების გამოყენებას, რადგან ნათელია, რომ მოცემულ შემთხვევაში თავდები ვერ იქნება საკმარისად დაცული.<sup>60</sup>

სავსებით ლოგიკურია შეკითხვა, რომელიც გლობალურ თავდებობასთან მიმართებით ჩნდება - ხომ არ ეწინააღმდეგება აღნიშნული თავდებობის განსაზღვრულობის პრინციპს? გაბატონებული მოსაზრების თანახმად, გლობალური თავდებობა აკმაყოფილებს განსაზღვრულობის პრინციპს, თუმცა რადგან რისკები რთულად კალკულირებადია ხელშეკრულება უნდა შემოწმდეს შინაარსობრივად.<sup>61</sup> აქედან გამომდინარე, ხელშეკრულების სსკ-ის 346-ე მუხლის საფუძველზე კონტროლი კიდევ უფრო მეტად აქტუალური ხდება. აღსანიშნავია, რომ შინაარსის კონტროლი გულისხმობს იმის გარკვევას, თუ რამდენად ნათელია სტანდარტული პირობა. თუკი, პირობა არ არის ცხადი და ჩვეულებრივი, სადად მოაზროვნე ადამიანისთვის გასაგები, იგი ბათელია სსკ-ის 346-ე მუხლის საფუძველზე.<sup>62</sup> ასევე, კანონი პირს აძლევს შესაძლებლობას თავდებობა იკისროს ყველა იმ მოთხოვნისთვის, რომელიც შეიძლება კრედიტორს გაუჩნდეს ძირითადი მოვალის მიმართ.<sup>63</sup> მოცემულ შემთხვევაში, სსკ-ის 344-ე მუხლის მიხედვით, პირობა უჩვეულო არ არის, რადგან თავდებს აქვს შესაძლებლობა გააცნობიეროს ნაკისრი პასუხისმგებლობის თანმდევი რისკი.<sup>64</sup> კერძოდ, როდესაც ხელშეკრულებით გავთვალისწინებულია მსგავსი ჩანაწერი: „ძირითადი მოვალის ყველა ვალდებულება შეზღუდვის გარეშე“ გასაგებია, რომელი

<sup>59</sup> Ebenroth/Boujong/Joost/Strohn, *Handelsgesetzbuch*, 4. Aufl. 2020, Rn. 514.

<sup>60</sup> Ebenroth/Boujong/Joost/Strohn, *Handelsgesetzbuch*, 4. Aufl. 2020, Rn. 515.

<sup>61</sup> *MüKoBGB/Habersack*, 8. Aufl. 2020, BGB § 765 Rn. 76.

<sup>62</sup> *რუსიაშვილი გ., აღადაშვილი ა.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, წიგნი III, ჭანტურია ლ. (რედ) თბ., 2019, მუხ. 346, ველი 22.

<sup>63</sup> *MüKoBGB/Habersack*, 8. Aufl. 2020, BGB § 765 Rn. 76.

<sup>64</sup> BGHZ 130, 30; BGH NJW 1996, 1472. მითითებულია: *რუსიაშვილი გ.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge, მუხ. 891, ველი 17.

ძირითადი ვალდებულება ექცევა მასში - კერძოდ, ყველა.<sup>65</sup> მიუხედავად ამისა, მსგავსი პირობის სსკ-ის 54-ე მუხლის III დანაწესის საფუძველზე ბათილობა, როგორც ამორალური გარიგების, შესაძლებელია.<sup>66</sup>

## გ) კონტროლი სსკ-ის 54-ე მუხლის საფუძველზე

### აა) ზოგადი

სსკ-ის 54-ე მუხლის III დანაწესის მიხედვით, ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს და ეწინააღმდეგება ზნეობის ნორმებს. სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ გარიგება, რომელიც საზოგადოებაში „საყოველთაოდ მიღებულ ქცევის სტანდარტს“ ეწინააღმდეგება, ბათილად მიიჩნევა, როგორც ამორალური გარიგება.<sup>67</sup>

კრედიტორს, მოვალეს და თავდებს შორის არსებული ურთიერთობა წარმოშობს მრავალ სამართლებრივ დილემას.<sup>68</sup> ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს 1993 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილების შემდეგ, ძირითად მოვალესთან ემოციურ ბმაში მყოფი პირის მხრიდან თავდებობის კისრება ექვემდებარება კონტროლს გსკ-ის 138-ე პარაგრაფის I ნაწილის მიხედვით.<sup>69</sup> აღნიშნული პარაგრაფის ანალოგს წარმოადგენს სსკ-ის 54-ე მუხლის III დანაწესი. კერძოდ, როდესაც ძირითად მოვალესთან არსებობს მჭიდრო ემოციური კავშირი და ამავედროულად თავდებობა ზედმეტად მძიმე ფინანსურ ტვირთად აწვება პირს, ამ დროს კრედიტორმა უნდა ამტკიცოს, რომ აღნიშნულ გარემოებას გავლენა არ მოუხდენია თავდების ნების ფორმირებაზე. თავის მხრივ, თავდებმა უნდა ამტკიცოს, რომ მან იკისრა თავდებობა სწორედ ემოციური კავშირის გამო და არა პირადი ეკონომიკური ინტერესებისდა გამო.<sup>70</sup>

### ბბ) ახლო ნათესავის მიერ ნაკისრი თავდებობა

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების ამორალურად მიჩნევა მოითხოვს სასამართლოს მხრიდან ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში

<sup>65</sup> *Ebenroth/Boujong/Joost/Strohn*, *Handelsgesetzbuch*, 4. Aufl. 2020 Rn. 514.

<sup>66</sup> *რუსიაშვილი გ.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, [gccc.ge](http://gccc.ge), მუხ. 891, ველი 17.

<sup>67</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №28/4686-13.

<sup>68</sup> *MüKoBGB/Habersack*, 8. Aufl. 2020, BGB § 765 Rn. 14.

<sup>69</sup> *MüKoBGB/Habersack*, 8. Aufl. 2020, BGB § 765 Rn. 16.

<sup>70</sup> *MüKoBGB/Habersack*, 8. Aufl. 2020, BGB § 765 Rn. 24.

შეფასებასა და მსჯელობას.<sup>71</sup> მოსამართლემ ნორმის სუბსუმციის გარდა ყურადღება უნდა გაამახვილოს რამდენად შეესაბამება მხარეთა მიერ გამოვლენილი ნება მათი ნების თავისუფლების ფარგლებს.<sup>72</sup>

თავდებობის დროს რისკები განსაკუთრებით იზრდება, როდესაც ხელშეკრულებას დებენ ძირითადი მოვალის ახლო ნათესავები.<sup>73</sup> გასაკვირი არ არის, რომ მოვალის ახლო ნათესავისთვის, გაცილებით რთულად გასაანალიზებელია ის რისკები, რომელიც მოცემული ხელშეკრულების დადებას ახლავს თან. ახლო ნათესავისგან განსხვავებით, მესამე პირისთვის რისკების შეფასება უფრო მარტივია იმ მხრივ, რომ მას ძირითად მოვალესთან ემოციური ბმა არ აკავშირებს.<sup>74</sup>

თავდებობის ხელშეკრულება შეიძლება ამორალურად იქნას მიჩნეული, როდესაც კრედიტორი განზრახ ამცირებს მასში არსებულ რისკებს. მაგალითად, როდესაც ბანკის წარმომადგენელი აკეთებს მსგავსს შენიშვნას: „დიდი რისკი არ არსებობს“, ან „ეს მხოლოდ ფორმალობაა.“ ამგვარმა განცხადებებმა შეიძლება გამოიწვიოს თავდებობის ხელშეკრულების ბათილობა ამორალურობის საფუძველით.<sup>75</sup> გსკ-ის 138 (I) პარაგრაფი არის ამორალურობის ზოგადი საფუძველი. პრაქტიკაში, ამ მუხლით ხელშეკრულება ბათილდება, როდესაც თავდებობის ხელშეკრულებას ხელს აწერენ დიასახლისები, ძირითადი მოვალის შვილები, რომლებიც ჯერ კიდევ სწავლობენ, აგრეთვე ძირითადი მოვალის ხანდაზმული მშობლები. ასევე, ხელშეკრულება შესაძლოა ბათილად იქნას ცნობილი თუ ზეწოლა განხორციელდა თავდებზე არა კრედიტორის, არამედ ძირითადი მოვალის მხრიდან და კრედიტორი აღნიშნული ზეწოლის თაობაზე ინფორმირებული იყო.<sup>76</sup> ამ უკანასკნელ შემთხვევაში ურთიერთობის

---

<sup>71</sup> *Pieck, Manfred* (1996) A Study of the Significant Aspects of German Contract Law, Annual Survey of International & Comparative Law: Vol. 3: Iss. 1, Article 7, 112-113.

<sup>72</sup> *ლიუტრინგჰაუსი კ.*, მოსამართლეთა სემინარი, სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების მიღების მეთოდიკა, 2007, 24.

<sup>73</sup> *Cherednychenko O.*, Fundamental Rights, Contract Law and the Protection of the Weaker Party, 2007, 269.

<sup>74</sup> *რუსიაშვილი გ.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge, მუხ. 891, ველი 18.

<sup>75</sup> *Cherednychenko O.*, Fundamental Rights, Contract Law and the Protection of the Weaker Party, 2007, 284-285.

<sup>76</sup> *Cherednychenko O.*, Fundamental Rights, Contract Law and the Protection of the Weaker Party, 2007, 286.

მომწესრიგებელი არის სსკ-ის 54-ე მუხლის მე-3 ვარიანტი და არა სსკ-ის 85-ე მუხლი.<sup>77</sup>

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ამორალურობა სახეზეა, როდესაც 1) მოსალოდნელი პასუხისმგებლობა არაპორპორციულია თავდების ფინანსურ შესაძლებლობასთან; 2) თავდებს აქვს მჭიდრო ემოციური ურთიერთობა ძირითად მოვალესთან; 3) კრედიტორს არ უნდა შეეძლოს ამ ემოციური ურთიერთობის ბოროტად გამოყენების პრეზუმფციის გაქარწყლება.<sup>78</sup> შესაბამისად, ამორალურობის შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარემოება არის თავდების გადახდისუუნარობის საკითხის გარკვევა. იმ შემთხვევაში, როდესაც თავდებს, იმის ფინანსური შესაძლებლობაც არ აქვს, რომ მინიმალური ვალდებულება შეასრულოს თუნდაც პროცენტის დაფარვით, ცალსახად, დადებული გარიგება ამორალურად უნდა იქნას მიჩნეული.<sup>79</sup> მეორე მხრივ, მხოლოდ ის ფაქტი, რომ სესხის გაცემა დამოკიდებულია თავდების უზრუნველყოფაზე, არ არის საკმარისი ხელშეკრულების ამორალურად მიჩნევისათვის.<sup>80</sup> მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს ისეთ გარემოებებს, როგორებიცაა: თავდების ასაკი, განათლება, მისი პროფესია და უმუშევრობის წინა პერიოდები, აგრეთვე მოსალოდნელი მემკვიდრეობაც კი.<sup>81</sup> გარდა ამისა, სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს თავდების უძრავი ქონების შესახებ ინფორმაცია (რა პირობებში ცხოვრობს ის), რადგან ამორალურობა ფასდება ხელშეკრულების დადების დროს არსებული გარემოებების გათვალისწინებით.<sup>82</sup> ამიტომ, სასამართლო მსგავსი ტიპის თავდებობის ხელშეკრულებებს, სადაც ცალსახაა, რომ თავდებს არ აქვს ფინანსური შესაძლებლობა, მიიჩნევს კეთილსინდისიერებისა და მორალის ნორმების საწინააღმდეგოდ.<sup>83</sup> ერთ-ერთ მსგავსს შემთხვევაზე, გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ თავდებობის

<sup>77</sup> *რუსიაშვილი გ.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge, მუხ. 891, ველი 18.

<sup>78</sup> *Cherednychenko O.*, Fundamental Rights, Contract Law and the Protection of the Weaker Party, 2007, 279.

<sup>79</sup> BGH DB 2000, 767; NJW 20101, 815. მითითებულია: *მესხიშვილი ქ.*, თავდებობის სამართლებრივი ასპექტები, თეორია და სასამართლო პრაქტიკა, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა 6/2017, 71.

<sup>80</sup> *MüKoBGB/Habersack*, 8. Aufl. 2020, BGB § 765 Rn. 30.

<sup>81</sup> *Cherednychenko O.*, Fundamental Rights, Contract Law and the Protection of the Weaker Party, 2007, 280.

<sup>82</sup> *MüKoBGB/Habersack*, 8. Aufl. 2020, BGB § 765 Rn. 25.

<sup>83</sup> BVerfGE 89, 214; NJ 1994, 2749, მითითებულია: *მესხიშვილი ქ.*, კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, თეორია და სასამართლო პრაქტიკა, ტომი I, თბ., 2020, 31.

ხელშეკრულება ბათილად ცნო და განმარტა, რომ ბანკმა უკანონოდ გამოიყენა თავისი საბაზრო ძალაუფლება, რაც მხარეთა შორის „სტრუქტურულ საბაზრო უთანასწორობაში“ გამოიხატა. სასამართლომ განმარტა, რომ მხარეთა შორის დადებული შეთანხმება და ცალკეული საკითხის გადაჭრის გზები ფუნდამენტურად ეწინააღმდეგებოდა კერძო სამართალში მოქმედ ნების თავისუფლების პრინციპს.<sup>84</sup>

ყურადსაღებია, რომ თავდებობის ურთიერთობა დაუცველს არ ტოვებს არც კრედიტორს და კანონმდებელი ამ უკანასკნელსაც ანიჭებს ცალკეულ შემთხვევებში გარემოებებზე მითითების შესაძლებლობას. კერძოდ, ამორალურობის კონტექსტში ხელშეკრულების განხილვის დროს, კრედიტორს, უპირველეს ყოვლისა, შეუძლია აღნიშნოს, რომ მან არ იცოდა რამდენად მძიმე ფინანსურ ტვირთად დააწვებოდა თავდებს დადებული ხელშეკრულება.<sup>85</sup> ასევე, შეუძლია იმ გარემოებაზე აპელირება, რომ თავდებსა და მოვალეს შორის მჭიდრო ემოციურ კავშირს გავლენა არ მოუხდენია ხელშეკრულების დადებაზე.<sup>86</sup> მაგ., თავდებს თავად ჰქონდა ხელშეკრულების მიმართ ეკონომიკური ინტერესი. ამ დროს, თავდების პოზიცია მინიმუმ უნდა მიუახლოვდეს თანამონაწილე მსესხებლის პოზიციას ეკონომიკური ვითარების გათვალისწინებით. კერძოდ, თუ სესხის აღება მხოლოდ ნაწილობრივ იყო თავდების ინტერესის საგანი, თავდებობის ხელშეკრულება შეიძლება ნაწილობრივ იქნას ბათილად ცნობილი.<sup>87</sup> გარდა ზემოაღნიშნულისა, ამორალურობის მომენტი არ არსებობს თუ კრედიტორს ჰქონდა უფლება ახლო ნათესავისგან მიეღო თავდებობა. აქ იგულისხმება შემთხვევა, როდესაც ერთი მეუღლე მეორე მეუღლის თავდებია და არსებობს იმის რეალური საფრთხე, რომ მოვალე მეუღლეს „გადაუფორმეს“ ქონებას.<sup>88</sup> და მაინც, როდესაც თანხა მნიშვნელოვნად აჭარბებს თავდების ფინანსურ შესაძლებლობებს და ამავდროულად თავდები არის მოვალის ოჯახის წევრი თავდებობა ნაკისრი არის სწორედ ემოციური კავშირის გამო. აღნიშნული

---

<sup>84</sup> *ლაკერბაია თ., ზაალიშვილი ვ., ზოიძე თ.*, მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი (ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა), ზოიძე ბ. (რედ), თბ., 2018. დას. ნაშრომის 130-ე სქოლიო, 57.

<sup>85</sup> *MüKoBGB/Habersack*, 8. Aufl. 2020, BGB § 765 Rn. 26.

<sup>86</sup> *Cherednychenko O.*, *Fundamental Rights, Contract Law and the Protection of the Weaker Party*, 2007, 283.

<sup>87</sup> *MüKoBGB/Habersack*, 8. Aufl. 2020, BGB § 765 Rn. 27.

<sup>88</sup> BGHZ 134, 328; BGHZ 136, 353; BGH NJW 2009, 437 Rn. 22. მითითებულია: *რუსიაშვილი გ.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge, მუხ. 891, ველი 22.

პრეზუმფციის გაქარწყლება კი კრედიტორს მტკიცების საგანში შემავალი გარემოებაა.<sup>89</sup>

ინგლისურ სამართალში, სუსტა დასაცავად მოქმედებს O'Brien-ის დოქტრინა. ამ საქმეში ქალბატონი მიუთითებდა, რომ თავდებად მეუღლის მხრიდან არასწორი წარმოდგენის შექმნის გამო დადგა. ამავდროულად მას არ წაუკითხავს ხელშეკრულება და არც ბანკის წარმომადგენელს განუმარტავს მისთვის შესაძლო სამართლებრივი შედეგები. შედეგად, მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული სახლი ბანკის საკუთრებაში გადავიდა, რაც ლორდთა პალატის შეფასებით ეწინააღმდეგებოდა ზნეობის ნორმებს.<sup>90</sup>

### გგ) არასრულწლოვნის მიერ ნაკისრი თავდებობა

რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, არის შემთხვევები, როდესაც თავდებად დგებიან არასრულწლოვანი პირები. ამ შემთხვევაში სასამართლო უფრო ფრთხილად ეკიდება საქმეს და აფასებს გარემოებებს. ერთ-ერთ საქმეზე, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ „გარიგებებით შეილახა არასრულწლოვანთა კანონით დაცული ინტერესები, რადგან თავისი შინაარსიდან გამომდინარე, თავდებობის ხელშეკრულება წარმოუდგენელია ბავშვისთვის რაიმე სახის, მატერიალური თუ არამატერიალური სიკეთის მომტანი იყოს. ცალსახაა, რომ აღნიშნული ტიპის ხელშეკრულება ბავშვს გადამეტებულ პასუხისმგებლობას აკისრებს, რაც მისი სტაბილური განვითარებისთვის, ფსიქოემოციური და ეკონომიური მდგომარეობისთვის ცალსახა უარყოფით შედეგს იწვევს. არასრულწლოვანი ბავშვისთვის, რომელიც თავად მოვლასა და მზრუნველობას საჭიროებს, ასეთი ვალდებულების დაკისრება, ზნეობის ნორმებს ეწინააღმდეგება და სსკ-ის 54-ე და 61-ე მუხლების თანახმად, უცილოდ ბათილ გარიგებას წარმოადგენს.“<sup>91</sup>

აქვე აღსანიშნავია უზენაესის სასამართლოს კიდევ ერთი გადაწყვეტილება,<sup>92</sup> რომლის თანახმად, „თავდებისათვის, რომელიც თავდებობის ხელშეკრულების

<sup>89</sup> *Bingham/Hirsch*, *The German Law of Contract, A Comparative Treatise*, 257.

<sup>90</sup> *Cherednychenko O.*, *Fundamental Rights, Contract Law and the Protection of the Weaker Party*, 2007, 302.

<sup>91</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 08 მაისის განჩინება საქმეზე №ას-174-2019. მითითებულია: *მესხიშვილი ქ.*, კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, თეორია და სასამართლო პრაქტიკა, ტომი I, თბ., 2020, 51.

<sup>92</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 05 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-726-2019.

დადებამდე რამდენიმე თვით ადრე გახდა სრულწლოვანი, თავდებად დადგომა ეწინააღმდეგება ზნეობის ნორმებს და იგი უცილოდ ბათილ გარიგებას წარმოადგენს (54-ე და 61-ე მუხლები).<sup>93</sup> ამ საქმეში თავდები აპელირებდა იმ გარემოებაზე, რომ იგი სრულწლოვანი ახალი გამხდარი იყო, შესაბამისად, მისთვის რისკების გაცნობიერება შეუძლებელი გახდა. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კრედიტორმა უფლება ბოროტად გამოყენება. ამასთან, მან არ შეამოწმა თავდების გადახდისუნარიანობის ფაქტი. საგულისხმოა, რომ თავდებობის ხელშეკრულება მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის გაფორმდა 2016 წლის 11 თებერვალს, რა დროსაც გამსესხებელს არცერთი საკანონმდებლო რეგულაცია არ ავალდებულებდა გადაემოწმებინა თავდები პირის გადახდისუნარიანობის ფაქტი. მიუხედავად ამისა, ხელშეკრულება სსკ-ის 54-ე, 61-ე მუხლების საფუძველზე ბათილად იქნა ცნობილი. ამ გადაწყვეტილებისგან განსხვავებით, ინგლისურ სამართალში მიიჩნევა, რომ 18 წელს გადაცილებულ პირს შეუძლია იმის გაანალიზება, რომ თავდებობა არის რისკის შემცველი ხელშეკრულება. მთავარია სესხის გამცემმა შეამოწმოს თავდების ფინანსური შესაძლებლობა.<sup>94</sup>

#### IV. თავდებობის სპეციალური ფორმები

##### ა) პირველი მოთხოვნისთანავე თავდებობა

თავდებობის სხვადასხვა სახეებიდან, აღსანიშნავია პირველი მოთხოვნისთანავე თავდებობა. ეს უკანასკნელი ძალიან გავს გარანტიას, რადგან კრედიტორის პირველივე მოთხოვნისთანავე უნდა გადაიხადოს თავდებმა, თუმცა აქცესორული ბუნებიდან გამომდინარე განსხვავების დანახვა შესაძლებელია. პირველი მოთხოვნისთანავე თავდებობა მიზნად ისახავს კრედიტორის მოთხოვნის სწრაფ დაკმაყოფილებას.<sup>95</sup> ამ თავდებობის შემთხვევაში, თავდების დაცვითი მექანიზმები პრაქტიკულად არ არსებობს, რადგან კრედიტორი მიუთითებს მოთხოვნის ვადამოსულობაზე და

<sup>93</sup> *ქვეშაია ნ.*, თავდებობის ხელშეკრულება, მისი გამიჯვნა მსგავსი ტიპის შეთანხმებებისაგან და სპეციალური ფორმები, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 1/2020, 60.

<sup>94</sup> *Cherednychenko O.*, Fundamental Rights, Contract Law and the Protection of the Weaker Party, 2007, 273.

<sup>95</sup> *MüKoBGB/Habersack*, 8. Aufl. 2020, BGB § 765 Rn. 106.



ხელშეკრულებაზე რომელიც თავდებთან აქვს გაფორმებული.<sup>96</sup> პირველი მოთხოვნისთანავე თავდებობა სასამართლო პრაქტიკის გზით არის შექმნილი და თავდების დაცვა ამ დროს თითქმის შეუძლებელია, რადგან აღნიშნული ტიპის თავდებობა მხოლოდ კრედიტორზეა ორიენტირებული.<sup>97</sup> კერძოდ, თავდები ვერ იყენებს სსკ-ის 894-905-ე მუხლებით გათვალისწინებულ შესაგებლებს და მხოლოდ მას შემდეგ, რაც გადაიხდის და აღმოაჩენს, რომ ძირითადი ვალდებულება არ არსებობდა შეუძლია მოითხოვოს გადახდილის უკან დაბრუნება.<sup>98</sup> ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ კრედიტორმა თავდებს განუმარტოს პირველი მოთხოვნისთანავე თავდებობიდან გამომდინარე სამართლებრივი შედეგები, წინააღმდეგ შემთხვევაში თავდები პასუხს აგებს როგორც ჩვეულებრივი თავდებობისას.<sup>99</sup> ხელშეკრულება ეფვემდებარება კონტროლს გსკ-ის 305 I პარაგრაფით. იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულების შინაარსიდან ცალსახად არ გამომდინარეობს, რომ თავდებმა პირველი მოთხოვნისთანავე უნდა შეასრულოს ვალდებულება, მას შეუძლია უარი თქვას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე და მიუთითოს ხელშეკრულების ხარვეზზე.<sup>100</sup>

## ბ) მოვალის გამოთიშვის თავდებობა

მოვალის გამოთიშვის თავდებობის დროს კრედიტორმა ყველა ღონისძიებას უნდა მიმართოს იმისთვის, რომ შესრულება მიიღოს მოვალისგან. აქ არ იგულისხმება მხოლოდ აღსრულების ერთჯერადი მცდელობა. კრედიტორმა უნდა ამტკიცოს, რომ ყველა საშუალება გამოიყენა მოვალის წინააღმდეგ, რაც კი არსებობდა და შედეგს მაინც ვერ მიაღწია. მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია კრედიტორს მოთხოვნის თავდების წინააღმდეგ წაყენება.<sup>101</sup>

## გ) თავდების თავდები

„თავდების თავდები“ (სსკ-ის 897-ე მუხლი) გულისხმობს შემთხვევას, როდესაც მოთხოვნა უზრუნველყოფილია თავდებობით, მაგრამ თავის მხრივ ამ უკანასკნელ თავდებს თავდებად უდგება სხვა პირი. შემდგომი თავდებობა

<sup>96</sup> *კროპპოლერი ი.*, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, § 765, ველი 4.

<sup>97</sup> *Bingham/Hirsch*, *The German Law of Contract, A Comparative Treatise*, 161.

<sup>98</sup> BGH NJW 2003, 2231 (2233). მითითებულია: *რუსიაშვილი გ.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაიკომენტარი, gcc.ge, მუხ. 891, ველი 43-44.

<sup>99</sup> *MüKoBGB/Habersack*, 8. Aufl. 2020, BGB § 765 Rn. 108.

<sup>100</sup> *MüKoBGB/Habersack*, 8. Aufl. 2020, BGB § 765 Rn. 109.

<sup>101</sup> *HK-BGB/Ansgar Staudinger*, 10. Aufl. 2019, BGB § 765 Rn. 22.

არსებობს მანამ სანამ არსებობს წინარე თავდებობა. მნიშვნელოვანია განისაზღვროს, რომ შემდგომი თავდებობით უზრუნველყოფილია არა ძირითადი ვალდებულების შესრულება, არამედ წინარე თავდებობა. შემდგომ თავდებს შეუძლია გამოიყენოს ყველა შესაგებელი (899-ე მუხლი), რომელიც გააჩნია წინა თავდებს და ძირითად მოვალეს. მას ასევე შეუძლია მიუთითოს გსკ-ის 771-ე პარაგრაფზე (894-ე მუხლი), რომ კრედიტორმა ჯერ ძირითადი მოვალისა და წინარე თავდებისგან უნდა სცადოს მოთხოვნის დაკმაყოფილება. აღსანიშნავია, რომ როდესაც შემდგომი თავდები ასრულებს ვალდებულებას იგი იძენს, როგორც კრედიტორის ისე წინარე თავდების მოთხოვნებს მოვალის წინააღმდეგ.<sup>102</sup> საკამათოა რამდენად აქვს მოვალეს იმ შესაგებლების წაყენების უფლება თავდების მიმართ, რომელიც მას წინარე თავდების მიმართ ჰქონდა. მიჩნეულია, რომ არ აქვს მოვალეს ამის უფლება, რადგან ძირითად მოვალეს არ ჰქონდა ეს შესაგებლები კრედიტორის მიმართ და შესაბამისად, არ უნდა ჰქონდეს მინიჭებული არც მომდევნო თავდების მიმართ, რომელიც ახლა კრედიტორის ფუნქციით არის აღჭურვილი.<sup>103</sup> ამასთან, თუ წინარე თავდები აკმაყოფილებს კრედიტორს ამით შემდგომი თავდებობა წყდება.<sup>104</sup> ხოლო, ძირითადი მოვალის შესრულებით, რა თქმა უნდა, ორივე თავდებობა წყდება (893 I მუხლი) და წინარე თავდების შესრულებით ქარწყლდება მომდევნო რიგის თავდებობა (427 მუხლი).<sup>105</sup>

#### დ) პარტნიორის თავდებობა

პარტნიორის ან სხვა აქციონერის მხრიდან კომპანიის ვალდებულებების უზრუნველსაყოფად თავდებად დადგომას უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ეს არ ეხება მხოლოდ შპს-ს ან კს-ს შეზღუდულ პარტნიორებს. რა თქმა უნდა, წერილობითი ფორმის დაცვა ამ შემთხვევაშიც სავალდებულოა.<sup>106</sup> ბანკებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს პარტნიორის მხრიდან თავდებად დადგომას, რადგან კომპანიის გადახდისუნარიობის შემთხვევაში პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობის საკითხი დადგება.<sup>107</sup> ამასთან, ძირითადი ვალდებულებს

<sup>102</sup> *MüKoBGB/Habersack*, 8. Aufl. 2020, BGB § 765 Rn. 127.

<sup>103</sup> *რუსიაშვილი გ.*, თავდების ვალის უზრუნველყოფა, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 2/2021, 15.

<sup>104</sup> *MüKoBGB/Habersack*, 8. Aufl. 2020, BGB § 765 Rn. 127.

<sup>105</sup> *რუსიაშვილი გ.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაიკომენტარი, gccc.ge, მუხ. 891, ველი 50.

<sup>106</sup> *MüKoBGB/Habersack*, 8. Aufl. 2020, BGB § 765 Rn. 117.

<sup>107</sup> *Schimansky/Bunte/Lwowski*, Bankrechts-Handbuch 5. Aufl. 2017, Rn. 592.

შესრულებით თუ თავისუფლდება პარტნიორი ამ უკანასკნელს შეუძლია კომპანიას მოთხოვოს გადახდილის უკან დაბრუნება გსკ-ის 135 II და 143 III პარაგრაფებით. ასევე, კომპანიის დატოვება ზოგადად არ იწვევს თავდებობის შეწყვეტას. მიუხედავად ამისა, პარტნიორს შეუძლია შეწყვიტოს განუსაზღვრელი ვადით დადებული თავდებობის ხელშეკრულება.<sup>108</sup>

## ე) დროებითი თავდებობა

მხარეთა შორის დადებული თავდებობის ხელშეკრულების მოქმედება შესაძლოა დროში შეიზღუდოს. ვადის გასვლის შემდეგ გკს-ს 777-ე პარაგრაფის მიხედვით, თავდები თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კრედიტორი მას მოთხოვნას წაუყენებს.<sup>109</sup> სამართლებრივად იმავე შედეგი გამომდინარეობს სსკ-ის 903-ე მუხლილს განმარტებიდან.

## V. თავდებობის სუბსიდიური ხასიათი - სსკ-ის 894-ე მუხლი

### ა) ზოგადი

უპირველეს ყოვლისა, თავდების პასუხისმგებლობა სუბსიდიურია, რაც იმას ნიშნავს, რომ თავდები მხოლოდ მაშინ უნდა ასრულებდეს, თუ ძირითადი მოვალე არ ასრულებს თავის ვალდებულებას კრედიტორის წინაშე. თავდები ამრიგად, ე.წ. მეორე მოვალეა.<sup>110</sup> მართლაც, თავდებობის სუბსიდიური ხასიათი სწორედ იმაში გამოიხატება, რომ თავდებს შეუძლია სსკ-ის 894-ე მუხლზე აპელირებით, დაავალოს კრედიტორი, რომ ამ უკანასკნელმა პირველ რიგში, მოვალისგან სცადოს მოთხოვნის დაკმაყოფილება. თავის მხრივ, შესაგებლის გამოყენება თავდების უფლებაა და არა ვალდებულება. კერძოდ, როდესაც თავდებმა იცის, რომ მოვალე გადახდისუუნაროა და სსკ-ის 894-ე მუხლის გამოყენებით კრედიტორს გაეზრდება დანახარჯები, რომელიც ბოლოს მაინც

<sup>108</sup> *MüKoBGB/Habersack*, 8. Aufl. 2020, BGB § 765 Rn. 118.

<sup>109</sup> *MüKoBGB/Habersack*, 8. Aufl. 2020, BGB § 765 Rn. 142.

<sup>110</sup> *Cherednychenko O.*, *Fundamental Rights, Contract Law and the Protection of the Weaker Party*, 2007, 268.

თავდების გადასახდელი იქნება, მას შეუძლია არ გამოიყენოს<sup>111</sup> ე.წ. “წინასწარჩვილის შესაგებელი.”<sup>112</sup>

ამასთან, მნიშვნელოვანია განისაზღვროს კრედიტორის მხრიდან მოვალის მიმართ მიმართული ერთჯერადი უშედეგო აღსრულების მცდელობა არის თუ არა საკმარისი თავდების პასუხისმგებლობისთვის. მიჩნეულია, რომ „ერთჯერადი მცდელობა“ საკმარისია იმისთვის, რომ კრედიტორმა თავდებს მოსთხოვოს შესრულება.<sup>113</sup> გარდა ამისა, გამორიცხული არ არის, რომ მოვალის ქონებრივი მდგომარეობა გაუმჯობესდეს, თუმცა კრედიტორი არ არის ვალდებული განმეორებით სცადოს შესრულების მიღება მოვალისგან.<sup>114</sup> გარდა ამისა, როდესაც თავდებობა ნაკისრია რამდენიმე მოვალისთვის, მაშინ კრედიტორმა აღსრულების მცდელობა თითოეულის მიმართ ცალ-ცალკე უნდა განახორციელოს.<sup>115</sup> ამასთან, კრედიტორს შეუძლია ერთდროულად მოვალისა და თავდების წინააღმდეგ შეიტანოს სარჩელი.<sup>116</sup>

გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც კრედიტორს შეუძლია მიმართოს პირდაპირ თავდებს არის შემდეგი: ა) დაიწყო ძირითადი მოვალის გაკოტრების საქმისწარმოება; ბ) მთავარმა მოვალემ შეიცვალა საცხოვრებელი ადგილი ან გ) როდესაც სააღსრულებო ფურცელი აქვს კრედიტორს თავდების წინააღმდეგ.<sup>117</sup> ამასთან, თავდები დაცვას არ იმსახურებს, როდესაც თავად იტყვის უარს შესაგებლის გამოყენებაზე, დამოუკიდებლად იკისრებს ვალს, ან როდესაც მეწარმე სუბიექტი გვევლინება თავდებად; გარდა ამისა, როდესაც კრედიტორი ვერ ახორციელებს სასამართლოში საქმისწარმოებას, ვინაიდან ეს უკანასკნელი არსებითად გამწვანებული ან აზრსმოკლებულია.<sup>118</sup> აღსანიშნავია, რომ ინგლისური სამართალი იცნობს თავდებობის სუბსიდიურ ბუნებას, თუმცა წესი, რომლის მიხედვითაც კრედიტორი ვალდებულია ჯერ მოვალეს მიმართოს

---

<sup>111</sup> *მესხიშვილი ქ.*, კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, თეორია და სასამართლო პრაქტიკა, ტომი I, თბ., 2020, 37.

<sup>112</sup> *MüKoBGB/Habersack*, 8. Aufl. 2020, BGB § 771 Rn. 3.

<sup>113</sup> *კროპპოლერი ი.*, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, § 771, ველი 1.

<sup>114</sup> *MüKoBGB/Habersack*, 8. Aufl. 2020, BGB § 771 Rn. 3.

<sup>115</sup> *MüKoBGB/Habersack*, 8. Aufl. 2020, BGB § 771 Rn. 4.

<sup>116</sup> *MüKoBGB/Habersack*, 8. Aufl. 2020, BGB § 771 Rn. 6.

<sup>117</sup> *Pieck, Manfred* (1996) A Study of the Significant Aspects of German Contract Law, Annual Survey of International & Comparative Law: Vol. 3: Iss. 1, Article 7, 171-172.

<sup>118</sup> *კროპპოლერი ი.*, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, § 773, ველი 1.

ვალდებულების შესრულების მოთხოვნით, ხოლო შემდეგ თავდება ინგლისში არ არის ფართოდ გავრცელებული.<sup>119</sup>

**ბ) გამონაკლისი თავდებობის სუბსიდიური ხასიათიდან - სსკ-ის 895-ე მუხლი  
ა) სოლიდარული თავდებობის წარმოშობის საფუძველი და თავდების  
პასუხისმგებლობა**

სსკ-ის 895-ე მუხლი (ანალოგი გსკ-ის 773-ე პარაგრაფი) წარმოადგენს გამონაკლისს თავდებობის სუბსიდიური ბუნებიდან. კრედიტორს შეუძლია პირდაპირ თავდებას წაუყენოს მოთხოვნა ან თავდებასა და მოვალეს ერთდროულად.<sup>120</sup> ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ განმარტა, რომ სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულების საფუძველზე, თავდებას კრედიტორის წინაშე ეკისრება ვალდებულება, სოლიდარულად ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი სახით.<sup>121</sup> ამ დროს „სუბსიდიური პასუხისმგებლობა სოლიდარულის თანაბარმნიშვნელოვანია,“ კერძოდ, როდესაც ვერ გადაიხადა რაღაც ნაწილი ძირითადად მოვალემ მისი გადახდა უწევს თავდებას.<sup>122</sup> ამასთან, როდესაც ერთი და იმავე ვალდებულებისთვის ცალ-ცალკე კისრულობს რამდენიმე პირი თავდებობას, ამ შემთხვევაშიც ისინი პასუხს აგებენ როგორც სოლიდარული მოვალეები.<sup>123</sup> მიუხედავად ამისა, ხაზგასასმელია, რომ თავდები და მოვალე სოლიდარული მოვალეები არ არიან.<sup>124</sup> თავდებობის გაფორმების დროს თავდები მკაფიოდ და ცალსახად უნდა იყოს ინფორმირებული იმასთან დაკავშირებით, რომ მისი პასუხისმგებლობა არ არის სუბსიდიური ხასიათის.<sup>125</sup> გარდა ამისა, სოლიდარული თავდებობის დროს თავდები პასუხს აგებს მაშინაც

<sup>119</sup> *Bingham/Hirsch, The German Law of Contract, A Comparative Treatise*, 161.

<sup>120</sup> *MüKoBGB/Habersack*, 8. Aufl. 2020, BGB § 773 Rn. 1.

<sup>121</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 05 დეკემბრის განჩინება საქმეზე № 28/3447-12.

<sup>122</sup> *შენგელია რ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ვალდებულებითი სამართალი, კერძო ნაწილი, ტომი II, ჭანტურია ლ. (რედ.), თბ., 2001, მუხ. 895, 232-233.

<sup>123</sup> *ახვლედიანი ზ.*, ვალდებულებითი სამართალი, მეორე გამოცემა, ჭანტურია ლ./ზოიძე ბ.(რედ.), თბ., 1999, 246.

<sup>124</sup> *MüKoBGB/Habersack*, 8. Aufl. 2020, BGB § 773 Rn. 2.

<sup>125</sup> *MüKoBGB/Habersack*, 8. Aufl. 2020, BGB § 773 Rn. 3.

თუ მოვალეს უბრალოდ არ სურს თანხის გადახდა.<sup>126</sup> ხოლო, თავდების პასუხისმგებლობისთვის მხოლოდ მოთხოვნის ვადამოსულობა არ არის საკმარისი.<sup>127</sup> გსკ-ის 773-ე პარაგრაფი გამოყოფს ოთხ შემთხვევას, როდესაც კრედიტორს პირდაპირ შეუძლია თავდებს წაუყენოს მოთხოვა, ხოლო სსკ-ის 895-ე მუხლის თანახმად, კრედიტორმა ასევე უნდა დაადასტუროს მოთხოვნის შესრულების ვადამოსულობა, რასაც თან სდევს მოვალის უშედეგო გაფრთხილება,<sup>128</sup> ანდა მოვალის გადახდის უუნარობა აშკარა უნდა იყოს.<sup>129</sup>

სსკ-ის 902-ე მუხლის მიხედვით, თავდებს ნებისმიერ დროს შეუძლია კრედიტორს მოსთხოვოს იფორმაცია ძირითადი ვალის მდგომარეობის შესახებ, კრედიტორი კი ვალდებულია მიაწოდოს მას აღნიშნული ინფორმაცია. მოცემული გამომდინარეობს იქიდან, რომ შესაძლებელია ძირითადმა მოვალემ თავდებს ინფორმაცია დაუმალოს. სწორედ ამიტომ თავდებს უფლება უნდა ჰქონდეს მიიღოს ობიექტური ინფორმაცია. გასათვალისწინებელია, რომ თუ კრედიტორი არ მიაწვდის თავდებს ზემოაღნიშნულ ინფორმაციას, იგი დაკარგავს მოთხოვნას თავდების წინააღმდეგ იმ ოდენობით, რაც ინფორმაციის მიწოდების შეუსრულებლობამ გამოიწვია.<sup>130</sup> იმავე განმარტა ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ: მართალია კრედიტორს თავდებისთვის ინფორმაცია არ მიუწოდებია ძირითადი ვალის შესახებ, თუმცა აღნიშნული თავდებს პასუხისმგებლობისგან არ ათავისუფლებს. აღნიშნულით მხოლოდ მცირდება თავდების პასუხისმგებლობის ფარგლები, იმ ოდენობით, რაც თავდებისთვის ინფორმაციის მიუწოდებლობამ გამოიწვია. ამ მოსაზრების საფუძველი ის არის, რომ კრედიტორს ვალდებულება რომ შეესრულებინა ზიანი არ დადგებოდა.<sup>131</sup> გარდა ამისა, გადახდის დარღვევის შესახებ ინფორმაციის დროულად მიწოდებამ შესაძლოა თავდების მხრიდან ძირითადი ვალდებულების შესრულების

<sup>126</sup> *MiKoBGB/Habersack*, 8. Aufl. 2020, BGB § 773 Rn. 5.

<sup>127</sup> *ჰანტურია ლ.*, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., 2012, 193.

<sup>128</sup> *მესხიშვილი ქ.*, კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, თეორია და სასამართლო პრაქტიკა, ტომი I, თბ., 2020, 38.

<sup>129</sup> *რობაქიძე*, ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი, 557.

<sup>130</sup> *რობაქიძე*, ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი, 561-562.

<sup>131</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 10 თებერვლის განჩინება, საქმეზე №ას-1153-1108-2016.

პროცესზე დადებითი გავლენა მოახდინოს.<sup>132</sup> კერძოდ, თავდებმა შესაძლოა მოვალე აიძულოს, რომ ვალდებულება შეასრულოს ან მოითხოვოს სსკ-ის 904-ე მუხლის საფუძველზე ვალდებულებისგან გათავისუფლება. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ როდესაც მოვალის ქონებრივი მდგომარეობა უარესდება, თავდები პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას სთხოვს მოვალეს და არა კრედიტორს.<sup>133</sup> ამასთან, 904-ე არ გამოიყენება როდესაც მოვალე ასრულებს ვალდებულებას ანდა თავდები დააკმაყოფილებს კრედიტორს.<sup>134</sup>

## 1. სხვისი ვალის აღიარება - გამიჯვნა

სხვისი ვალის აღიარება თავდებობისგან განსხვავდება, რადგან ამ უკანასკნელს აქცესორული და სუბსიდიური ბუნება აქვს. სხვისი ვალის აღიარება გულისხმობს მესამე პირის მხრიდან კრედიტორის წინაშე იმის გაცხადებას, რომ ძირითადი მოვალის ნაცვლად იგი შეასრულებს ვალდებულებას. ამით აღნიშნული ინსტიტუტი მსგავსებას ავლენს სოლიდარულ თავდებობასთან, თუმცა განსხვავების დანახვა შესაძლებელია. კერძოდ, თავდები წერილობითი ფორმის დაცვით დებს კრედიტორთან ხელშეკრულებას და ზღვრულ თანხასაც ითვალისწინებს, რა ფარგლებშიც უნდა აგოს პასუხი. განსხვავების დასანახად, მნიშვნელოვანია გაირკვეს შესრულების მიმართ რა ინტერესი აქვს მესამე პირს. ძირითადად, მესამე პირს საკუთარი ეკონომიკური ინტერესი გააჩნია და სწორედ ამიტომ ასრულებს მოვალის ნაცვლად ვალდებულებას. ხოლო თავდებს ეს ინტერესი არ აქვს.<sup>135</sup> საბოლოოდ, ვალის აღიარება არის ცალმხრივი და ამავდროულად აბსტრაქტული ხელშეკრულება, ანუ, საკმარისია ერთი პირის მხრიდან ნების გამოვლენა.<sup>136</sup> დავის შემთხვევაში, სახეზეა თავდებობა თუ სხვისი ვალის აღიარება, ძირითად შემთხვევებში მიჩნეულია, რომ მესამე პირი თავდებად უდგება ძირითად მოვალეს. გარდა ამისა, ვალის დამოუკიდებლად

<sup>132</sup> *შენგელია რ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ვალდებულებითი სამართალი, კერძო ნაწილი, ტომი II, ჭანტურია ლ. (რედ.), თბ., 2001, მუხ. 902, 240.

<sup>133</sup> *მესხიშვილი ქ.*, კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, თეორია და სასამართლო პრაქტიკა, ტომი I, თბ., 2020, 47.

<sup>134</sup> *რობაქიძე*, ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი, 564-566.

<sup>135</sup> *მესხიშვილი ქ.*, კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, თეორია და სასამართლო პრაქტიკა, ტომი I, თბ., 2020, 33-34.

<sup>136</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 09 სექტემბრის განჩინება საქმეზე №28/2202-14.

საკუთარ თავზე ალებისთვის საჭიროა კრედიტორის თანხმობა, რადგან ამ პირთან კრედიტორს შესაძლოა მანამდე შეხება არ ჰქონია.<sup>137</sup>

### გ) აშკარა გადახდისუუნარობა

გსკ-ის 773-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის მე-3 წინადადება საუბრობს იმ შემთხვევაზე, როდესაც მოვალის წინააღმდეგ იწყება გადახდისუუნარობის საქმისწარმოება. თავისთავად, ამ დროს თავდები არ არის დაცული.<sup>138</sup> „აშკარა გადახდისუუნარობა“ გულისხმობს ასევე შემთხვევას, როდესაც კრედიტორმა ერთხელ უკვე უშედეგოდ სცადა იმავე მოვალის წინააღმდეგ სხვა მოთხოვნის განხორციელება.<sup>139</sup>

სადავო საკითხია, რამდენად შესაძლებელია დადგეს თავდების პირდაპირი პასუხისმგებლობა აშკარა გადახდისუუნარობის დროს. ჩვენს რეალობაში რთულია განისაზღვროს რა მომენტი უნდა ჩაითვალოს მოვალის აშკარა გადახდისუუნარობად. აღნიშნული ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს მსჯელობის საგანია. შესაბამისად, როდესაც სოლიდარული თავდებობა არ არის სახეზე, სწორედ თავდების დაცვის მიზნიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ თავდები დათანხმდეს სსკ-ის 894-ე მუხლის გამოყენების გარეშე პასუხისმგებლობას.<sup>140</sup>

### დ) სსკ-ის 895-ე მუხლის ანალოგიით გამოყენების შესაძლებლობა

მნიშვნელოვანია განისაზღვროს გამოიყენება თუ არა სსკ-ის 895-ე მუხლი, როდესაც ძირითადი მოვალის მიმართ აღსრულება „გართულებული“ ან „საერთოდ შეუძლებელია.“ სასამართლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გარემოებების გათვალისწინებით აფასებს არის თუ არა გამწელებული აღსრულება.<sup>141</sup> მაგალითად, როდესაც ძირითადი მოვალე ხშირად იცვლის ადგილსამყოფელს გსგ-ის 773-ე პარაგრაფი არ აძლევს თავდებს

<sup>137</sup> *მესხიშვილი ქ.*, კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, თეორია და სასამართლო პრაქტიკა, ტომი I, თბ., 2020, 41.

<sup>138</sup> *MüKoBGB/Habersack*, 8. Aufl. 2020, BGB § 773 Rn. 8.

<sup>139</sup> *რუსიაშვილი გ.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gcc.ge, მუხ. 895, ველი 3.

<sup>140</sup> *რუსიაშვილი გ.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gcc.ge, მუხ. 895, ველი 6.

<sup>141</sup> *MüKoBGB/Habersack*, 8. Aufl. 2020, BGB § 773 Rn. 7.



წინასწარჩვილის გამოყენების შესაძლებლობას.<sup>142</sup> თუმცა, საცხოვრებელი ადგილის ქვეყნის ტერიტორიის შიგნით ცვლილება არ განიხილება მნიშვნელოვნად.<sup>143</sup>

## VI. თავდებობის აქცესორული ხასიათი

### 1. ზოგადი

თავდებობა აქცესორული ბუნებისაა. სსკ-ის 153 I მუხლის მიხედვით აქცესორულია უფლება, რომელიც ისეა დაკავშირებული სხვა უფლებასთან, რომ მის გარეშე არც შეიძლება არსებობდეს. აღნიშნული იმას გულისხმობს, რომ თავდებობა ემსახურება ძირითადი ხელშეკრულების მიზანს. შესაბამისად, აქცესორული უფლებები არის, ასევე გირავნობა და იპოთეკა.<sup>144</sup> აქცესორულობის მთავარი გამოხატულება არის ის, რომ ძირითადი ვალდებულების ბათილობის ან შეწყვეტის შემთხვევაში არ წარმოიშობა არც თავდების ვალდებულება.<sup>145</sup> მიზეზის ცოდნას, რის გამო აღარ არსებობს ძირითადი ვალდებულება არსებითი მნიშვნელობა არ აქვს (შესრულება, სუროგატი, მორიგება და სხვ.).<sup>146</sup> ამასთან, თავდებობის კისრების შემდეგ ძირითად მოვალესა და კრედიტორს შორის შეთანხმება, რომლითაც ფართოვდება პასუხისმგებლობის ფარგლები არ აისახება თავდებზე. ამის საპირისპიროდ, თუ გარიგებით პასუხისმგებლობის ფარგლები მცირდება, ის ავტომატურად მოქმედებს თავდების სასარგებლოდ.<sup>147</sup> სსკ-ის 891 II მუხლის მიხედვით, თავდებობამ შესაძლოა უზრუნველყოს სამომავლო და პირობითი მოთხოვნები. ამ შემთხვევაში, საწინამ ძირითადი ვალდებულება არ წარმოიშობა თავდებობაც არ არსებობს.<sup>148</sup> ხოლო, პირობითი მოთხოვნისთვის ეს პირობითი მოვლენა უნდა დადგეს, რათა თავდების ვალდებულება წარმოიშვას.<sup>149</sup>

<sup>142</sup> *რუსიაშვილი გ.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gcc.ge, მუხ. 895, ველი 12.

<sup>143</sup> *MüKoBGB/Habersack*, 8. Aufl. 2020, BGB § 773 Rn. 7.

<sup>144</sup> *თუმანიშვილი გ.*, შესავალი საქართველოს კერძო სამართალში, ნაწილი I, თბ., 2010, 123.

<sup>145</sup> *მესხიშვილი ქ.*, კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, თეორია და სასამართლო პრაქტიკა, ტომი I, თბ., 2020, 35.

<sup>146</sup> *HK-BGB/Ansgar Staudinger*, 10. Aufl. 2019, BGB § 767 Rn. 3.

<sup>147</sup> *კროპჰოლერი ი.*, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, § 767, ველი 2.

<sup>148</sup> *HK-BGB/Ansgar Staudinger*, 10. Aufl. 2019, BGB § 767 Rn. 2.

<sup>149</sup> *Henkel*, Personal Guarantees and Sureties between Commercial Law and Consumers in the United States, Am. J. Comp. L. 338 (2014).

გარდა აღნიშნულისა, თავდებს აქვს ყველა იმ შესაგებლის წარდგენის უფლებამოსილება, რომელიც აქვს ძირითად მოვალეს, მიუხედავად იმისა, ეს უკანასკნელი იყენებს თუ არა მინიჭებულ უფლებას.<sup>150</sup> აღნიშნული თავდებისთვის დაცვითი ფუნქციის მატარებელია, რადგან შესაძლოა მოვალეს სულაც არ აინტერესებდეს ვალდებულების შესრულების საკითხი, რადგან აღნიშნულს უკვე თავდები უზრუნველყოფს.<sup>151</sup> მიუხედავად ამისა, თავდები ვერ მიუთითებს მოვალის მემკვიდრის სამკვიდროს აქტივით პასუხისმგებლობის შეზღუდვის შესახებ,<sup>152</sup> რაზეც დეტალურად ქვემოთ იქნება საუბარი.

გასათვალისწინებელია, რომ გსკ-ის 767-ე პარაგრაფის ფარგლებში, ისევე როგორც სსკ-ის 893-ე მუხლში არ არის მოწესრიგებული თავდების მხრიდან ვალდებულების დარღვევის შედეგები (მათ შორის გვიანი შესრულების სამართლებრივი შედეგები). გარდა ამისა, არ არის რეგულირებული მტკიცების ტვირთის განაწილების სტანდარტი.<sup>153</sup> აქვე აღსანიშნავია, რომ თავდებობა ინგლისშიც აქცესორული ბუნების მატარებელია, რაც იმას ნიშნავს, თავდებობის არსებობა ძირითადი ვალდებულების არსებობაზეა დამოკიდებული.<sup>154</sup> ყურადსაღებია, რომ თუკი აქცესორულობის პრინციპი შეიცვლება აღნიშნული ხელშეკრულების ტიპის შეცვლას გამოიწვევს (გარანტიის ხელშეკრულება).<sup>155</sup>

#### ა) გამიჯვნა გარანტიის ხელშეკრულებისგან

თავდებობა ფართო განმარტებით შესაძლოა მოიცავდეს გარანტიას. ორივე ხელშეკრულებაში მინიმუმ სამი მხარე მონაწილეობს: კრედიტორი, ძირითადი მოვალე და თავდები, ან გარანტი. შესაბამისად, ეს არის სამმხრივი ურთიერთობა, როდესაც მესამე პირი პასუხს აგებს სხვისი ვალისთვის. მიუხედავად მსგავსებისა განსხვავება ამ ორ ინსტიტუტს შორის ცალსახაა.<sup>156</sup>

---

<sup>150</sup> *Pieck, Manfred* (1996), A Study of the Significant Aspects of German Contract Law, *Annual Survey of International & Comparative Law*: Vol. 3: Iss. 1, Article 7, 62.

<sup>151</sup> *კროპპოლერი ი.*, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, § 768, ველი 2.

<sup>152</sup> *კროპპოლერი ი.*, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, § 768, ველი 4.

<sup>153</sup> *MiKoBGB/Habersack*, 8. Aufl. 2020, BGB § 767 Rn. 1.

<sup>154</sup> *Bingham/Hirsch*, The German Law of Contract, A Comparative Treatise, 161.

<sup>155</sup> *HK-BGB/Ansgar Staudinger*, 10. Aufl. 2019, BGB § 767 Rn. 1.

<sup>156</sup> *Henkel*, Personal Guarantees and Sureties between Commercial Law and Consumers in the United States, *Am. J. Comp. L.* 335 (2014).

გერმანიის კანონი იცნობს გარანტიის ხელშეკრულებას (Garantievertrag). გარანტიის ხელშეკრულებით, რომელიც არ მოითხოვს წერილობით ფორმას ერთი მხარე მეორე მხარეს ჰპირდება კონკრეტულ შედეგის მიღწევას (ხშირად რისკის არარსებობას).<sup>157</sup> მთავარი განსხვავება თავდებობის ინსტიტუტისგან ის გახლავთ, რომ თავდებობა გარანტიის პასუხისმგებლობისგან განსხვავებით აქცესორული და სუბსიდიური ბუნებისაა.<sup>158</sup> საბანკო გარანტიის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი, რაც მას უზრუნველყოფის სხვა საშუალებებისაგან გამოარჩევს, არის საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობა ძირითადი ვალდებულებისაგან.<sup>159</sup> საბანკო გარანტიის დროს პრინციპალის მხრიდან ვალდებულების დარღვევის შემდეგ ბენეფიციარი პირდაპირ მიმართავს გარანტს.<sup>160</sup> ამასთან, გარანტი როგორც აღინიშნა კონკრეტული შედეგის დადგომის მიღწევის ვალდებულებას კისრულობს.<sup>161</sup> გარანტისთვის არსებითი არ არის ძირითადი ხელშეკრულების არსებობა-არარსებობის საკითხის განსაზღვრა, რადგან იგი ასრულებს მოვალის ნაცვლად თუ ეს უკანასკნელი არ ასრულებს ვალდებულებას, ან გარანტს ნაკისრი აქვს ვალდებულება, რომ პირდაპირ შეასრულებს ვალდებულებას მოვალის მაგიერ.<sup>162</sup>

გარანტიის თავდებობისგან გამიჯვნა აქცესორულობისა და სუბსიდიურობის პრინციპების გათვალისწინებით შედარებით მარტივია, თუმცა როდესაც გარანტი ასრულებს სხვის ვალდებულებას „არააქცესორულად“, ამ შემთხვევაში იგი მსგავსებას ავლენს ვალის თანაკისრების ინსტიტუტთან. გამიჯვნისთვის შესაძლოა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ გარანტი პირდაპირ ვერ იყენებს იმ შესაგებლებს, რომელიც თავდებს აქვს მინიჭებული. ამასთან, გარანტი პასუხს აგებს დამოუკიდებლად, როდესაც შემთხვევა დადგება (იგი არ არის სოლიდარულად პასუხისმგებელი).<sup>163</sup> გარდა ამისა, თუ პირი იღებს ვალდებულებას როგორც ძირითადი მოვალე ამგვარ ხელშეკრულებას ეწოდება

---

<sup>157</sup> Pieck, Manfred (1996) A Study of the Significant Aspects of German Contract Law, *Annual Survey of International & Comparative Law*: Vol. 3: Iss. 1, Article 7, 172.

<sup>158</sup> *MüKoBGB/Habersack*, 8. Aufl. 2020, BGB § 765 Rn. 1.

<sup>159</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №28/3772-14.

<sup>160</sup> *მესხიშვილი ქ.*, კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, თეორია და სასამართლო პრაქტიკა, ტომი I, თბ., 2020, 42.

<sup>161</sup> *კროპჰოლერი ი.*, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, § 766, ველი 8.

<sup>162</sup> *მესხიშვილი ქ.*, კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, თეორია და სასამართლო პრაქტიკა, ტომი I, თბ., 2020, 41.

<sup>163</sup> *რუსიაშვილი გ.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge, მუხ. 891, ველი 39 .

Kumulative Schulduebernahme (ვალდებულების კუმულაციური კისრება).<sup>164</sup> ვალის თანაკისრების შემდეგ თავდაპირველი და ახალი მოვალე ხდებიან სოლიდარული მოვალეები სსკ-ის 463-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით.<sup>165</sup> თუმცა, განსხვავებით ვალის გადაკისრებისაგან, ვალის თანაკისრების შემთხვევაში პირველი მოვალის ვალდებულება ძალაში რჩება და კრედიტორს თანამკისრებლის სახით ახალი მოვალე ყავს.<sup>166</sup> მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ყოველ შემთხვევაში უნდა განისაზღვროს სახეზეა თავდებობა, გარანტია თუ ვალის თანაკისრება.

## ბ) ვალდებულების შეწყვეტის საფუძვლები - ძირითადი ვალის გაქარწყლება

სსკ-ის 893 I მუხლი აქცესორულობის პრინციპის ერთ-ერთ გამოხატულებას წარმოადგენს. ძირითადი ვალის გაქარწყლებით, თავისთავად თავდებობაც წყდება, თუმცა, იმისდა მიხედვით სრულად თუ ნაწილობრივ ქარწყლდება ძირითადი ვალი, სამართლებრივი შედეგები განსხვავებულია.<sup>167</sup>

### ა) ძირითადი ვალის სრულად გაქარწყლება

თავდებობის შეწყვეტის მრავალი მექანიზმი არსებობს: შესრულება (427-ე მუხლი), შესრულების სუროგატი, დეპონირება (434-ე მუხლი), გაქვითვა (442-ე მუხლი), ვალის პატიება (448-ე მუხლი), ასევე, ვალის არარსებობის აღიარება.<sup>168</sup> ვალის პატიებასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ როდესაც კრედიტორი ძირითად მოვალეს პატიობს ვალს ამით თავდებობაც წყდება. საპირისპიროდ, კრედიტორის მხრიდან თავდების ვალდებულებისგან გათავისუფლება არ ათავისუფლებს ძირითად მოვალეს. ამასთან, მნიშვნელოვანია დადგინდეს კრედიტორმა ვის აპატია ვალი - თავდებს თუ მოვალეს. ვალის თავდებისთვის პატიების შემთხვევაში ყურადსაღებია, კრედიტორს აქვს თუ არა პრეტენზია სხვა თავდებების მიმართ. ერთ-ერთ საქმეზე უზენაესმა სასამართლომ განმარტა შემდეგი: „სსკ-ის 449-ე მუხლით კანონმდებელმა დაადგინა, რომ სხვა

<sup>164</sup> Pieck, Manfred (1996) A Study of the Significant Aspects of German Contract Law, *Annual Survey of International & Comparative Law*: Vol. 3: Iss. 1, Article 7, 173.

<sup>165</sup> რუსიაშვილი გ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge, მუხ. 891, ველი 30-31.

<sup>166</sup> რუსიაშვილი გ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge, მუხ. 891, ველი 29.

<sup>167</sup> რუსიაშვილი გ., ქავშაია ნ., აქცესორული ბმა თავდების ძირითად ვალდებულებასა და თავდების პასუხისმგებლობას შორის, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 4/2019, 24.

<sup>168</sup> რუსიაშვილი გ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge, მუხ. 893, ველი 12.

სოლიდარული მოვალეებისათვის ვალის პატიება ერთ-ერთი სოლიდარული მოვალისათვის ათავისუფლებს სხვა სოლიდარულ მოვალეებსაც, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კრედიტორი მათ მიმართ მოთხოვნას იტოვებს. ამ შემთხვევაში კრედიტორს შეუძლია დარჩენილი სოლიდარული მოვალეების მიმართ მხოლოდ ერთი მოთხოვნა გამოიყენოს გათავისუფლებული მოვალის წილის გამოკლებით.<sup>169</sup> ამასთან, ვალის პატიების ვარაუდი დაუშვებელია.<sup>170</sup> გასაკვირი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ კრედიტორი მოთხოვნის უფლებას იტოვებს იმ თავდების მიმართ, რომელსაც ქონება გააჩნია, შესაბამისად, აღნიშნული გარემოება არ მიუთითებს იმაზე, რომ კრედიტორმა ვალი სხვა მოვალეებს აპატია.<sup>171</sup>

თავდებობა წყდება კონფუზიისას - როდესაც კრედიტორი და მოვალე ერთი და იგივე პიროვნება აღმოჩნდება (452-ე მუხლი)<sup>172</sup> და ასევე, როდესაც კრედიტორი და თავდები ერთი და იმავე პირი აღმოჩნდება.<sup>173</sup> ამასთან, აღსანიშნავია, რომ ვალის გადაკისრების შემთხვევაში თავდების წერილობითი თანხმობა საჭირო თავდებობის გასაგრძელებლად. აღნიშნული გამომდინარეობს იქიდან, რომ თავდებად პირი უდგება კონკრეტულ მოვალეს, შესაბამისად, მოვალის პიროვნების ცვლილება თავდების თანხმობის გარეშე დაუცველს ტოვებს ამ უკანასკნელს. ამასთანავე, ვადის გასვლით წყდება თავდებობა.<sup>174</sup> კერძოდ, როდესაც სახეზეა უვადო თავდებობის ხელშეკრულება (903 I) მისი შეწყვეტა დასაშვებია სამთვიანი ვადის დაცვით, ხოლო ვადიანი თავდებობის (903 II) ხელშეკრულების შეწყვეტა ხუთი წლის გასვლის შემდეგ დასაშვებია სამ თვიანი ვადის დაცვით.<sup>175</sup> გასათვალისწინებელია, რომ თავდების გარდაცვალება არ წყვეტს თავდებობას, რადგან იგი მემკვიდრეობით გადადის და

<sup>169</sup> *მესხიშვილი ქ.*, კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, თეორია და სასამართლო პრაქტიკა, ტომი I, თბ., 2020, 39-40.

<sup>170</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-1087-1018-2012.

<sup>171</sup> *მესხიშვილი ქ.*, კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, თეორია და სასამართლო პრაქტიკა, ტომი I, თბ., 2020, 40.

<sup>172</sup> *MüKoBGB/Habersack*, 8. Aufl. 2020, BGB § 765 Rn. 51.

<sup>173</sup> *ჭანტურია ლ.*, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., 2012, 201-202.

<sup>174</sup> *მესხიშვილი ქ.*, კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, თეორია და სასამართლო პრაქტიკა, ტომი I, თბ., 2020, 47.

<sup>175</sup> *ახვლედიანი ზ.*, ვალდებულებითი სამართალი, მეორე გამოცემა, ჭანტურია ლ./ზოიძე ბ.(რედ), თბ., 1999, 250.

ჩვეულებრივ აგრძელებს არსებობას.<sup>176</sup> ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, როდესაც ძირითადი ვალი უქმდება ან წყდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე თავდებობაც წყდება *ex-nunc* მოქმედებით და ძირითადი ვალის აღდგენა არ იწვევს თავდებობის აღდგენას.<sup>177</sup>

ყველაფერთან ერთად, თავდებობა შეიძლება შეწყდეს ან თავდების პასუხისმგებლობა შემცირდეს, იმ შემთხვევაში, როდესაც კრედიტორი ამცირებს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებებს. როგორც ზემოთ აღნიშნა შესაძლებელია ძირითადი ვალის როგორც ვალდებულებითი ისე სანივთო საშუალებებით უზრუნველყოფა. შესაბამისად, როდესაც კრედიტორი ქონებას გამოათავისუფლებს გირავნობის ან იპოთეკისაგან აღნიშნული ქმედება თავდებისთვის ცალსახად დამაზიანებელია, განსაკუთრებით, კი, სუბსიდიური თავდებობის დროს.<sup>178</sup>

### **ბბ) ძირითადი ვალის ნაწილობრივ გაქარწყლება**

ძირითადი ვალის ნაწილობრივ გაუქმებით თავდებობაც ნაწილობრივ უქმდება. ხოლო, თუ ხელშეკრულება შეწყდა ვადაზე ადრე მოვალე უფლებამოსილია აუნაზღაუროს კრედიტორს გამოუყენებელი საკრედიტო ხარჯები, რაც იძლევა გამოქვითვის შესაძლებლობას და მცირდება დარჩენილი ვალი. შესაბამისად, ვალის შემცირებით სარგებლობს თავდებიც.<sup>179</sup> ასეთი შემთხვევა ძირითადად სახეზეა, როდესაც კრედიტორი და მოვალე შეთანხმდებიან პასუხისმგებლობის ფარგლების შემცირებაზე. ამასთან, როდესაც ვალდებულებას ასრულებს მესამე პირი, თავისთავად წყდება თავდებობაც. ხოლო, როდესაც ვალდებულება ქარწყლდება თავდების ბრალით, წყდება თავდებობა, მაგრამ კრედიტორს შეუძლია თავდებს სსკ-ის 394 I მუხლის საფუძველზე მოთხოვოს ზიანის ანაზღაურება.<sup>180</sup>

### **გ) აქცესორულობის პრინციპი და მტკიცების ტვირთი**

<sup>176</sup> *MüKoBGB/Habersack*, 8. Aufl. 2020, BGB § 765 Rn. 51.

<sup>177</sup> *MüKoBGB/Habersack*, 8. Aufl. 2020, BGB § 767 Rn. 4.

<sup>178</sup> *მესხიშვილი ქ.*, თავდებობის სამართლებრივი ასპექტები, თეორია და სასამართლო პრაქტიკა, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა 6/2017, 81.

<sup>179</sup> *MüKoBGB/Habersack*, 8. Aufl. 2020, BGB § 767 Rn. 5.

<sup>180</sup> BGH NJW 1979, 159, BGH MDR 1976, 662. მითითებულია: *რუსიაშვილი გ.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge, მუხ. 893 ველი 13-14.

აქცესორულობის პრინციპი ვრცელდება მტკიცების ტვირთის განაწილებაზეც. კრედიტორი ვალდებულია ამტკიცოს თავდებთან ძირითადი მოთხოვნის წარმოშობის ვალიდურობა. ამის საპირისპიროდ, თავდებმა უნდა მიუთითოს ძირითადი მოთხოვნის ვადის ამოწურვის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში დაამტკიცოს აღნიშნული.<sup>181</sup> თავდებს უფლება აქვს გაეცნოს კრედიტორის დოკუმენტაციას, რათა უზრუნველყოს მტკიცებულებების შეგროვება.<sup>182</sup>

#### დ) სსკ-ის 893-ე მუხლის იმპერატიული ხასიათი

თავდებობის აქცესორული ხასიათი იმპერატიული ბუნებისაა.<sup>183</sup> ძირითადი დავალიანების მოცულობა განსაზღვრავს თავდების დავალიანების მოცულობას.<sup>184</sup> სსკ-ის 893-ე მუხლი იმპერატიული ხასიათი იმაში გამოიხატება, რომ აქცესორულობის პრინციპის გაუქმება შეთანხმებით ცვლის ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებას. როგორც ზემოთ აღინიშნა მსგავსს შემთხვევაში საუბარი არის გარანტიის ხელშეკრულებაზე, რომელიც არ არის აქცესორული ბუნების. ხოლო, როდესაც კონკრეტულ ნაწილში უქმდება ან იცვლება აქცესორულობა, ამ დროს შესაძლოა სახეზე იყოს როგორც თავდებობის, ისე გარანტიისა და ვალის აღიარების კომბინაცია. ის თუ, რასამართლებრივი ურთიერთობაა სახეზე ინდივიდუალურად შესაფასებელია.<sup>185</sup>

#### ე) გამონაკლისი თავდებობის აქცესორულობის პრინციპიდან

თავდებობა, იპოთეკისგან განსხვავებით მკაცრად აქცესორული ხასიათის არ არის. სსკ-ის 891 II მუხლი (სამომავლო და პირობითი მოთხოვნებისთვის თავდებობა) იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ გარკვეულწილად „შერბილდეს“ აქცესორული ხასიათი. შესაბამისად, თავდებობის აქცესორულობის პრინციპიდან არსებობს გამონაკლისები. მაგალითად, როდესაც ქონების არარსებობის გამო მოვალე წყვეტს ვალდებულების შესრულებას.<sup>186</sup> გარდა ამისა,

<sup>181</sup> *MüKoBGB/Habersack*, 8. Aufl. 2020, BGB § 767 Rn.6.

<sup>182</sup> BGH NJW 1989, 300, BGH NJW 1985, 3009. მითითებულია: *რუსიაშვილი გ., ქვეშაია ნ.*, აქცესორული ბმა თავდების ძირითად ვალდებულებასა და თავდების პასუხისმგებლობას შორის, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 4/2019, 25.

<sup>183</sup> *Jauernig/Stadler*, 18. Aufl. 2021, BGB § 767 Rn. 2.

<sup>184</sup> *Jauernig/Stadler*, 18. Aufl. 2021, BGB § 767 Rn. 4.

<sup>185</sup> BGH NJW 1993, 1919. მითითებულია: *რუსიაშვილი გ., ქვეშაია ნ.*, აქცესორული ბმა თავდების ძირითად ვალდებულებასა და თავდების პასუხისმგებლობას შორის, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 4/2019, 26.

<sup>186</sup> *MüKoBGB/Habersack*, 8. Aufl. 2020, BGB § 767 Rn. 7.

893 II მუხლის თანახმად, შემდგომში კრედიტორსა და მოვალეს შორის შეთანხმებით პასუხისმგებლობის გაფართოება არ ვრცელდება თავდებზე. აღნიშნული წარმოადგენს აქცესორულობის პრინციპის კიდევ ერთი შეზღუდვის შემთხვევას.<sup>187</sup>

#### ა) ძირითადი მოვალის გაკოტრება

აქცესორულობის პრინციპი არ მოქმედებს როდესაც ძირითადი მოვალე გაკოტრების პირას არის. ამ დროს თავდები პასუხს მაინც აგებს. ამისგან განსხვავებით, ძირითადი სესხის მოცულობის შემცირება, ავტომატურად, აისახება თავდების სასარგებლოდ.<sup>188</sup> ძირითადი მოვალის გაკოტრების მიუხედავად, გერმანიის უზენაესი ფედერალური სასამართლო განმარტავს, რომ „თავდებობა, მიუხედავად მისი აქცესორულობისა, გამონაკლისის სახით დამოუკიდებელი მოთხოვნის ფორმით უნდა დარჩეს ძალაში.“<sup>189</sup> იმავე ვრცელდება იმ შემთხვევაზეც, როდესაც ძირითადი ვალი მცირდება მოვალის გაკოტრების გამო.<sup>190</sup> აღნიშნულ მიდგომას იზიარებს ქართული სასამართლო პრაქტიკაც. საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა: „ის ფაქტი, რომ იურიდიული პირი შეიძლება ქონების გარეშე დარჩეს ან იგი გადახდისუუნარო აღმოჩნდეს, თავისთავად არ იწვევს ვალდებულების შეწყვეტას. მეწარმე სუბიექტის გაკოტრებისას ძირითადი ვალის უზრუნველსაყოფად გამოყენებული საშუალებები არ ქარწყლდება. ასეთ შემთხვევაში გამოყენებული საშუალებების აქცესორულობა სუსტდება.“<sup>191</sup> შესაბამისად, ცალსახაა, რომ თავდები მხოლოდ ამ მიზეზით პასუხისმგებლობას თავს ვერ აარიდებს.

#### ვ) სხვა გამონაკლისი აქცესორულობის პრინციპიდან

აქცესორულობიდან გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც ძირითადი მოვალის გარდაცვალების შემთხვევაში თავდები მემკვიდრის შეზღუდულ პასუხისმგებლობაზე ვერ უთითებს. ამ დროს, თავდები ვალდებულია

<sup>187</sup> *რუსიაშვილი გ.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge, მუხ. 893, ველი 18.

<sup>188</sup> *MüKoBGB/Habersack*, 8. Aufl. 2020, BGB § 767 Rn. 7.

<sup>189</sup> BGHZ 82, 327;BGH WM 1956, 1209;KG NJW 1955, 1152;BGH NJW 1955, 11 52: BGHZ 25, 217. მითითებულია: *რუსიაშვილი გ.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge, მუხ. 893, ველი 20.

<sup>190</sup> *კროპკოლერი ი.*, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, § 767, ველი 2.

<sup>191</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე N ას-401-2019.



შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება იმ შემთხვევაშიც, თუ მიღებული სამკვიდრო არ არის საკმარისი ვალდებულების დასაფარად.<sup>192</sup> აღნიშნული გამომდინარეობს თავდებობის მიზნიდან - თავდებმა უნდა უზრუნველყოს კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილება მიუხედავად ძირითადი მოვალის გადახდისუუნარობის ან გარდაცვალების ფაქტისა.<sup>193</sup>

## 2. თავდების შესაგებლები

### ა) ზოგადი

სსკ-ის 899-ე მუხლი წარმოადგენს აქცესორულობის პრინციპის კიდევ ერთ გამოხატულებას.<sup>194</sup> თავდების დაცვითი მექანიზმი იმაშიც გამოიხატება, რომ მას კრედიტორის წინააღმდეგ აქვს მთელი რიგი შესაგებლების წარდგენის უფლებამოსილება. ამასთან, თავდებს მხოლოდ ძირითადი ურთიერთობიდან წარმომდგარი შესაგებლების გამოყენება შეუძლია.<sup>195</sup> სსკ-ის 899 II მუხლის მიხედვით, თავდებს მოვალის უარის მიუხედავად შესაგებლის გამოყენების უფლება აქვს. გსკ-ის 768-ე პარაგრაფი (ანალოგი 899 მუხლი) დისპოზიციური ხასიათისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ გამონაკლისები დაიშვება 766-ე პარაგრაფის (892 მუხლი) შესაბამისად წერილობითი ფორმის არსებობისას.<sup>196</sup> აგრეთვე, თავდები არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან თუ მოვალე სრულწლოვანი გახდა.<sup>197</sup>

ერთმანეთისგან განასხვავებენ საკუთარ და დერივატიულ შესაგებლებს. საკუთარია ის შესაგებელი, რომელიც თავდებს კრედიტორის მიმართ გააჩნია, ხოლო ე.წ. დერივატიული ანუ არაპირდაპირია ის შესაგებელი, რომელიც ძირითად მოვალეს აქვს კრედიტორის მიმართ. თავდებს ორივე შესაგებლის გამოყენების უფლება აქვს. მაგალითისთვის, როდესაც მოთხოვნა ხანდაზმულია, მაგრამ მოვალე ამ გარემოებაზე არ აპელირებს, თავდებს შეუძლია კრედიტორს

<sup>192</sup> *შენგელია რ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ვალდებულებითი სამართალი, კერძო ნაწილი, ტომი II, ჭანტურია ლ. (რედ.), თბ., 2001, მუხ. 899, 237.

<sup>193</sup> *მესხიშვილი ქ.*, კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, თეორია და სასამართლო პრაქტიკა, ტომი I, თბ., 2020, 36.

<sup>194</sup> *Jauernig/Stadler*, 18. Aufl. 2021, BGB § 768 Rn. 1.

<sup>195</sup> *MüKoBGB/Habersack*, 8. Aufl. 2020, BGB § 768 Rn. 16.

<sup>196</sup> *MüKoBGB/Habersack*, 8. Aufl. 2020, BGB § 768 Rn. 5.

<sup>197</sup> *MüKoBGB/Habersack*, 8. Aufl. 2020, BGB § 768 Rn. 11.

უარი უთხრას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.<sup>198</sup> მეორე მხრივ, თუ მოვალე დაკარგავს შესაგებლის წარდგენის უფლებამოსილებას, აღნიშნული პირდაპირ აისახება თავდებაზე. კერძოდ, თუ მოვალე დაკარგავს შეჩერების ან გადავადების შესაგებელს აღნიშნულს დაკარგავს თავდებაზე.<sup>199</sup> აგრეთვე, როდესაც სსკ-ის 900 მუხლის შესაბამისად ძირითადი მოვალე სადაოს ხდის გარიგებას, ანუ ეცილება კრედიტორს, ან გადის ხელშეკრულებიდან თავდებას უფლება აქვს არ დააკმაყოფილოს კრედიტორის მოთხოვნა.<sup>200</sup>

## ბ) სსკ-ის 899-ე მუხლით მოცული შესაგებლები

თავდებას მინიჭებული აქვს ყველა იმ შესაგებლის წარდგენის უფლებამოსილება, რომელიც ძირითად მოვალეს ეკუთვნის.<sup>201</sup> აღნიშნული ემყარება შემდეგს - როდესაც ძირითადი მოვალე არ არის ვალდებული შეასრულოს კრედიტორის მოთხოვნა, ასევე არ არის ვალდებული თავდებაზე.<sup>202</sup> შესაბამისად, თავდებას უფლება აქვს მიუთითოს მოთხოვნის ხანდაზმულობაზე, აგრეთვე, ხელშეკრულების შეუსრულებლობიდან გამომდინარე შესაგებელზე.<sup>203</sup> ასევე, გამოიყენოს მოთხოვნის ვადამოსულობის გადაწევის შესაგებელი, „უსაფუძვლო გამდიდრების შესაგებელი, ნაკლოვანი შესრულების შესაგებელი“ და სხვ.<sup>204</sup>

### ა) ხანდაზმულობის შესაგებელი

სსკ-ის 899-ე მუხლი ასევე ეხება ხანდაზმულობის შესაგებელს. თავდებას შეუძლია მიუთითოს, რომ ძირითად მოვალესა და კრედიტორს შორის მოლაპარაკების გამო კრედიტორს არ აქვს უფლება წაუყენოს მას მოთხოვნა.<sup>205</sup> გასათვალისწინებელია, რომ თუ ერთხელ სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო მოვალის მითითება მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე, თავდებასაც

<sup>198</sup> ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., 2012, 194.

<sup>199</sup> MüKoBGB/Habersack, 8. Aufl. 2020, BGB § 768 Rn. 6.

<sup>200</sup> რუსიაშვილი გ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge, მუხ. 899, ველი 4.

<sup>201</sup> Jauernig/Stadler, 18. Aufl. 2021, BGB § 768 Rn. 2.

<sup>202</sup> HK-BGB/Ansgar Staudinger, 10. Aufl. 2019, BGB § 768 Rn. 1.

<sup>203</sup> კროპკოლერი ი., გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, § 768, ველი 2.

<sup>204</sup> BGH NJW 1979, 160 BGH NJW 1989, 1854. BGH NJW 1991, 1049. მითითებულია: რუსიაშვილი გ., ქავშაია ნ., აქცესორული ბმა თავდებას ძირითად ვალდებულებასა და თავდებას პასუხისმგებლობას შორის, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 4/2019, 29.

<sup>205</sup> MüKoBGB/Habersack, 8. Aufl. 2020, BGB § 768 Rn. 16.

ერთმევა უფლება მიუთითოს აღნიშნულზე.<sup>206</sup> შესაბამისად, როდესაც მოვალე დაკარგავს შესაგებლის წარდგენის უფლებამოსილებას აღნიშნული პირდაპირ აისახება თავდების უფლების შეზღუდვაზე.<sup>207</sup> თუმცა, მოვალის უარი ხანდაზმულობის მითითებაზე უფლება არ ართმევს თავდებს გამოიყენოს ხანდაზმულობის შესაგებელი.<sup>208</sup> ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ძირითადი მოვალის ქონებრივი მდგომარეობის მიუხედავად თავდები არ კარგავს ზემოაღნიშნულ უფლებას.<sup>209</sup> ყველაფერთან ერთად მნიშვნელოვანია, რომ თუ თავდები ჯიუტად ასრულებს ხანდაზმულ მოთხოვნას, რომლის შესახებ მოვალეც მიუთითებს, იგი შემდგომში კარგავს რეგრესის წესით მოვალისგან მოთხოვნის უფლებას, რადგან მან ხანდაზმული მოთხოვნა ნებით შეასრულა.<sup>210</sup>

### ბბ) გამორიცხული შესაგებელი

თავდებს არ აქვს რიგი შესაგებლების წარდგენის უფლება, რადგან არის ისეთი ტიპის შესაგებლები, რომლის წარდგენის უფლებაც მხოლოდ მოვალეს შეუძლია. მაგ., მხოლოდ ძირითად მოვალეს შეუძლია განახორციელოს შეცილება, ხელშეკრულებიდან გასვლა ან გაქვითვა.<sup>211</sup> მეორე მხრივ, მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი მოვალე იყენებს ზემოაღნიშნულ უფლებებს თავდებს ამ დროს შეუძლია არ დააკმაყოფილოს კრედიტორი და დაელოდოს შედეგებს. თავდების შესაგებლის წარდგენის უფლებას არ გამორიცხავს ის გარემოება, რომ ძირითადი მოვალისა და კრედიტორის შეთანხმებით მოთხოვნა არ წაეყენება გარკვეული დრო მოვალეს, თუმცა თავდების მიმართ მოთხოვნა დასაშვებია.<sup>212</sup> ასეთ შემთხვევაში, თავდებს ცალსახად შეუძლია გამოიყენოს შესაგებლის წარდგენის უფლებამოსილება. ხოლო, როდესაც მოვალე უარს ამბობს სსკ-ის 900

---

<sup>206</sup> BGH ZIP 2009, 1608. მითითებულია: *რუსიაშვილი გ., ქავშაია ნ.*, აქცესორული ზმა თავდების ძირითად ვალდებულებასა და თავდების პასუხისმგებლობას შორის, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 4/2019, 29.

<sup>207</sup> *MüKoBGB/Habersack*, 8. Aufl. 2020, BGB § 768 Rn. 6.

<sup>208</sup> *HK-BGB/Ansgar Staudinger*, 10. Aufl. 2019, BGB § 768 Rn. 3.

<sup>209</sup> *კროკპოლერი ი.*, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, § 768, ველი 2.

<sup>210</sup> *ჭანტურია ლ.*, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., 2012, 194-195.

<sup>211</sup> *კროკპოლერი ი.*, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, § 768, ველი 3.

<sup>212</sup> BGH ZIP 2018, 68. მითითებულია: *რუსიაშვილი გ.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge, მუხ. 899, ველი 9.

მუხლით მინიჭებულ უფლებამოსილებაზე, ამ დროს თავდებიც კარგავს კრედიტორის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის უფლებას.<sup>213</sup>

ამასთან, სსკ-ის 899-ე II მუხლით, თავდებს არ შეუძლია მიუთითოს მემკვიდრის შეზღუდულ პასუხისმგებლობაზე,<sup>214</sup> რადგან აღნიშნული ეწინააღმდეგება თავდებობის ინსტიტუტის არსს.<sup>215</sup> ამ შემთხვევაში თავდები ჩვეულებრივ აგებს პასუხს.<sup>216</sup> მაგალითად, როდესაც მიღებული სამკვიდრო ვერ ფარავს ძირითად ვალდებულებას, თავდებს არ აქვს ვალდებულების გათავისუფლებისგან მოთხოვნის უფლება.<sup>217</sup> ერთი მხრივ, თავდებს არ აქვს უფლება სსკ-ის 1488-ე მუხლზე აპელირების, იმ არგუმენტით, რომ გარდაცვლილი მოვალის კრედიტორმა მოთხოვნა მოვალის მემკვიდრეს კანონით დადგენილ ვადაში არ წარუდგინა.<sup>218</sup> ამისგან საპირისპიროდ, ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო პალატამ განმარტა, რომ რადგან კრედიტორმა არ დაიცვა სსკ-ის 1488-ე მუხლით დადგენილი ვადა და მოთხოვნა არ წაუყენა გარდაცვლილი მოვალის მემკვიდრეებს, ამით მან ასევე დაკარგა უფლება მოთხოვნის დაკმაყოფილება მოეთხოვა სოლიდარული თავდებისგან. ამასთან, კრედიტორმა არ დაიცვა სსკ-ის 895-ე მუხლის მოთხოვნა და არ გააფრთხილა მოვალის უფლებამონაცვლე შესრულების ვადის გადაცილების შესახებ. გადაწყვეტილების მიღების საფუძველი თავდებობის აქცესორული ხასიათი იყო. სწორედ იმის გამო, რომ კრედიტორმა მოთხოვნა არ წაუყენა მოვალის მემკვიდრეებს და არც აცნობა მათ ვადის დარღვევის შესახებ, კრედიტორმა დაკარგა მოთხოვნა სოლიდარული თავდების მიმართ.<sup>219</sup> გადაწყვეტილება კრიტიკას იმსახურებს, რადგან კანონი ცალსახად მიუთითებს, რომ თავდები მემკვიდრის შეზღუდულ პასუხისმგებლობაზე ვერ მიუთითებს. ამის საპირისპიროდ, მოცემული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება სოლიდარული თავდებობის არსს.

---

<sup>213</sup> *რობაქიძე, ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ჯანაშია*, სახელმეკრულებო სამართალი, 556.

<sup>214</sup> *MiKoBGB/Habersack*, 8. Aufl. 2020, BGB § 768 Rn. 11.

<sup>215</sup> *კროპკოლერი ი.*, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, § 768, ველი 4.

<sup>216</sup> *რობაქიძე, ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ჯანაშია*, სახელმეკრულებო სამართალი, 554.

<sup>217</sup> *ახვლედიანი ზ.*, ვალდებულებითი სამართალი, მეორე გამოცემა, ჭანტურია ლ./ზოიძე ბ.(რედ), გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1999, 248.

<sup>218</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 5 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-97-2019.

<sup>219</sup> *ნაჭყეაძე ა.*, სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2015-2019), თბ., 2019, 133.

### გ) ძირითადი მოვალის უარი შესაგებელზე

შესაგებლის წარდგენა თავდების ნებაზე დამოკიდებული.<sup>220</sup> თავდებს შეუძლია შესაგებელი წაუყენოს კრედიტორის, მიუხედავად იმისა, რომ ძირითადმა მოვალემ უარი თქვა მასზე.<sup>221</sup> კანონმდებელმა გაითვალისწინა, რომ თუ მოვალის მხრიდან შესაგებელზე უარის თქმის შემთხვევაში ამ უფლებას თავდებიც დაკარგავდა, აღნიშნული თავდებისთვის დამაზიანებელი იქნებოდა.<sup>222</sup> კანონმდებელი ცდილობს თავდების დაცვას და მოცემული ნორმაც ამის გამოხატულებას წარმოადგენს.

## 3. თავდების პასუხისმგებლობის ფარგლები

### ა) ზღვრული თანხის თავდებობა

თავდებობის ხელშეკრულებაში სავალდებულოდ მისათითებელია თანხა, რომლის ფარგლებშიც პასუხი უნდა აგოს თავდებმა. თავდები პასუხს აგებს მხოლოდ ზღვრული თანხის ფარგლებში. გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც კრედიტორი და თავდები სხვაგვარად შეთანხმდებიან.<sup>223</sup> ზღვრული თანხის მითითების დროს თავდები ზღუდავს პასუხისმგებლობის ფარგლებს და აღნიშნულს დაცვითი ფუნქცია გააჩნია. ეს ეხება ყველა სახის თავდებობას. წინააღმდეგ შემთხვევაში საჭიროა თავდების წერილობითი თანხმობა, პასუხისმგებლობის გაფართოებაზე.<sup>224</sup> ამასთან, მნიშვნელოვანია განისაზღვროს ზღვრული თანხის მითითება ვრცელდება მთლიანად ყველა თანხაზე, მათ შორის ვალდებულების შეუსრულებლობის თუ არაჯეროვანი შესრულების შედეგად წარმოშობილ მოთხოვნებზეც თუ არა.<sup>225</sup> მიჩნეულია, რომ ზღვრული თანხა მოიცავს დამატებით მოთხოვნებსაც (მაგ: პროცენტი).<sup>226</sup> აღნიშნული იმას გულისხმობს, რომ თავდების პასუხისმგებლობის ზღვარზე არ აისახება მოვალის

<sup>220</sup> *რობაქიძე*, ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი, 554.

<sup>221</sup> *HK-BGB/Ansgar Staudinger*, 10. Aufl. 2019, BGB § 768 Rn. 2.

<sup>222</sup> *რობაქიძე*, ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი, 554.

<sup>223</sup> *MüKoBGB/Habersack*, 8. Aufl. 2020, BGB § 767 Rn. 11.

<sup>224</sup> *MüKoBGB/Habersack*, 8. Aufl. 2020, BGB § 767 Rn. 13.

<sup>225</sup> *რობაქიძე*, ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი, 552.

<sup>226</sup> *რუსიაშვილი გ.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge, მუხ. 898, ველი 3.

მხრიდან ვალდებულების დარღვევის/ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად წარმოშობილი მოთხოვნების მოცულობის გაზრდა.<sup>227</sup> ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ განმარტა: „ზემოაღნიშნული ნორმის ამგვარი მოთხოვნა თავდების ფინანსური ინტერესების დაცვის მნიშვნელოვანი კომპონენტია, ვინაიდან, ზღვრული თანხის მითითება გამორიცხავს თავდების პასუხისმგებლობის ზრდის შესაძლებლობას. ნორმა იმპერატიულია, საწინააღმდეგო შეთანხმება კი ბათილია, როგორც კანონსაწინააღმდეგო გარიგება.“<sup>228</sup> აღნიშნული პრინციპი ასევე განმტკიცებულია სსკ-ის 898-ე მუხლით, რომლის თანახმადაც, თუ ხელშეკრულების საფუძველზე მხარეები საწინააღმდეგოზე არ არიან შეთანხმებულნი, თავდები პასუხს აგებს მხოლოდ თავდებობის ხელშეკრულებაში ან/და თავდების განცხადებაში მითითებული ზღვრული თანხის ოდენობამდე.<sup>229</sup>

## ბ) ძირითადი ვალდებულების ცვლილება - სსკ-ის 898 I ნაწილი

მნიშვნელოვანია განისაზღვროს როგორ აისახება ძირითადი ვალდებულების ცვლილება თავდების პასუხისმგებლობის ფარგლებზე. როგორც წესი, ძირითად მოთხოვნასთან დაკავშირებული „ტიპური გაფართოებისა და შინაარსობრივი ცვლილებისთვის“ თავდები პასუხს აგებს, თუმცა,<sup>230</sup> ძირითადი ვალდებულების არატიპური ცვლილება გავლენას არ ახდენს თავდების პასუხისმგებლობის ფარგლებზე.<sup>231</sup> მაგალითად, ძირითად მოვალეს და კრედიტორს არ შეუძლიათ გაზარდონ თავდების პასუხისმგებლობის ფარგლები (სსკ-ის 893-ე მუხლი). აღნიშნული მხოლოდ მაშინ იძენს სამართლებრივ ძალას, როდესაც თავდები ახალ თავდებობის ხელშეკრულებას დადებს კრედიტორთან ან ძველ ხელშეკრულებაში შეიტანს ცვლილებებს.<sup>232</sup> იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულების შინაარსი ცდება მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულების

<sup>227</sup> BGH ZIP 2013, 665, მითითებულია: *რუსიაშვილი გ.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge, მუხ. 898, ველი 3.

<sup>228</sup> *ნაჭყებია ა.*, სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2015-2019), თბ., 2019, 131.

<sup>229</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-647-647-2018.

<sup>230</sup> OLG Düsseldorf WM 2001, 2384. მითითებულია: *რუსიაშვილი გ., ქავშაია ნ.*, აქცესორული ბმა თავდების ძირითად ვალდებულებასა და თავდების პასუხისმგებლობას შორის, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 4/2019, 27.

<sup>231</sup> *MiKoBGB/Habersack*, 8. Aufl. 2020, BGB § 767 Rn. 10.

<sup>232</sup> *რობაქიძე*, ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი, 552.

ფარგლებს თავდები პასუხს აგებს ნაკისრი პასუხისმგებლობის შესაბამისად. თუ თავდების დაპირება არ შეიცავს თანხმობას ძირითადი ვალდებულების ცვლილების თაობაზე, თავდებს შეუძლია მიუთითოს რომ იგი არ დადებდა ხელშეკრულებას ეს რომ სცოდნოდა.<sup>233</sup>

სსკ-ის 898 II ა) ქვეპუნქტი საუბრობს თავდების პასუხისმგებლობის ფარგლების გაფართოებაზე. კერძოდ, თავდები პასუხს აგებს, როდესაც ძირითადი ვალის მოცულობა იცვლება მოვალის ბრალეულობის ან შესრულების ვადის გადაცილების გამო. აქედან გამომდინარე, როდესაც ძირითადი მოვალე ბრალეულად არ ასრულებს ვალდებულებას, მიყენებული ზიანის ანაზღაურებს ვალდებულება თავდებზე ვრცელდება. მეორე მხრივ, შეთანხმებისას, თავდები არ აგებს პასუხს რესტიტუციული მოთხოვნისათვის.<sup>234</sup> კითხვის ნიშანს აჩენს ის თუ რამდენად უნდა აგოს თავდებმა პასუხი ძირითადი მოვალის თაღლითური საქციელისთვის. იგივე ითქმის როდესაც უზრუნველყოფილი მოთხოვნა არ წარმოიშობა, მაგრამ კრედიტორი ითხოვს ზიანის ანაზღაურებას.<sup>235</sup> თუ მოვალე დავობს, რომ გარიგება მოტყუებით ან იძულებით არის დადებული, რა თქმა უნდა, დავის გადაწყვეტამდე თავდები უფლებამოსილია არ დააკმაყოფილოს კრედიტორი.<sup>236</sup> კერძოდ, თუ აღმოჩნდება, რომ ძირითადი ვალდებულება ბათილია ზემოაღნიშნული საფუძვლებიდან გამომდინარე, თავისთავად აქცესორული ბუნებიდან გამომდინარე თავდების ვალდებულება აღარ იარსებებს.

### გ) ვალდებულების დარღვევისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანქციები - სსკ-ის 898 II მუხლის ა) ქვეპუნქტი

ხშირ შემთხვევაში, ძირითადი მოვალე არ ასრულებს ვალდებულებას, რაც იწვევს პროცენტების, პირგასამტეხლოსა და ჯარიმების დარიცხვას. მოცემულ შემთხვევაში კანონი ზუსტად განსაზღვრავს რა შემთხვევაში აგებს თავდები პასუხს მოვალის მხრიდან ხელშეკრულების დარღვევისთვის. პირგასამტეხლოს<sup>237</sup> და დამდგარი ზიანისთვის თავდები მხოლოდ მაშინ აგებს

<sup>233</sup> *MüKoBGB/Habersack*, 8. Aufl. 2020, BGB § 767 Rn. 21.

<sup>234</sup> *MüKoBGB/Habersack*, 8. Aufl. 2020, BGB § 767 Rn. 9.

<sup>235</sup> *MüKoBGB/Habersack*, 8. Aufl. 2020, BGB § 767 Rn. 10.

<sup>236</sup> *შენგელია რ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ვალდებულებითი სამართალი, კერძო ნაწილი, ტომი II, ჭანტურია ლ. (რედ.), თბ., 2001, მუხ. 900, 195.

<sup>237</sup> *რობაქიძე*, ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი, 553.

პასუხს თუ ამას თავდებობის ხელშეკრულება ითვალისწინებს. ამასთან, თუ თავდებს უნდა სცოდნოდა აღნიშნულის შესახებ და ევალეზობდა ამის გათვალისწინება, იგი პასუხისმგებლობას ვერ აირიდებს.<sup>238</sup>

#### **დ) დამატებითი მოთხოვნები სსკ-ის 898 II მუხლის ბ) ქვეპუნქტის საფუძველზე**

თავდების პასუხისმგებლობა ვრცელდება ასევე იმ დამატებით მოთხოვნებზე, რომელიც გამომდინარეობს ხელშეკრულების მოშლიდან და საპროცესო ხარჯებიდან. ამ შემთხვევაში შესაძლებელია წარმოშობილი ხარჯები ზღვრულ თანხასაც კი გასცდეს. სწორედ ამიტომ არის სსკ-ის 898 II ბ) ქვეპუნქტი ამომწურავი ხასიათის, რაც გამორიცხავს სხვა უზრუნველყოფის გამცემის მიმართ წარმოებული პროცესის ხარჯების თავდებისთვის მოთხოვნას სსკ-ის 973-ე და 969-ე მუხლების საფუძველზე.<sup>239</sup>

#### **აა) ძირითადი ურთიერთობის მოშლის და პროცესის ხარჯები**

თავდების პასუხისმგებლობის ფარგლები ვრცელდება ხელშეკრულების მოშლისა<sup>240</sup> და სასამართლო ხარჯებისთვის,<sup>241</sup> მაშინაც კი თუ მან უარი თქვა წინასწარჩვილის შესაგებელზე.<sup>242</sup> გსკ-ის 767 II პარაგრაფის ანალოგს წარმოადგენს სსკ-ის 898-ე მუხლის II ბ) ქვეპუნქტი. ხელშეკრულების მოშლის შედეგად ძირითადი ვალდებულების შესრულების ვადა დგება, შესაბამისად, ვადამოსული ხდება თავდების ვალდებულება. სასამართლო ხარჯებში კი მოიაზრება სსკ-ის 37-ე მუხლით გათვალისწინებული ხარჯები: სასამართლო და არასასამართლო ხარჯები.<sup>243</sup> ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ ხარჯები წარმოიშვას თავდებობის კისრების შემდეგ, წინააღმდეგ შემთხვევაში ალოგიკური იქნებოდა თავდებს პასუხი ეგო იმ ხარჯებისთვის, რომელიც ხელშეკრულების გაფორმებამდე არსებობდა. გამონაკლისი დაიშვება, როდესაც

<sup>238</sup> RG JW 1933, 2826. მითითებულია: *რუსიაშვილი გ.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge, მუხ. 898, ველი 10.

<sup>239</sup> BGH NJW 2009, 1879. მითითებულია: *რუსიაშვილი გ., ქავშაია ნ.*, აქცესორული ბმა თავდების ძირითად ვალდებულებასა და თავდების პასუხისმგებლობას შორის, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 4/2019, 28.

<sup>240</sup> *MüKoBGB/Habersack*, 8. Aufl. 2020, BGB § 767 Rn. 12.

<sup>241</sup> *HK-BGB/Ansgar Staudinger*, 10. Aufl. 2019, BGB § 767 Rn. 4.

<sup>242</sup> *MüKoBGB/Habersack*, 8. Aufl. 2020, BGB § 767 Rn. 11.

<sup>243</sup> *რუსიაშვილი გ.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge, მუხ. 898, ველი 13-14.



თავდები და კრედიტორი სხვაგვარ დანაწესზე შეთანხმდებიან ხელშეკრულებით.<sup>244</sup>

სსკ-ის 898 II ბ) ამოქმედდება, როდესაც თავდებს ჰქონდა შესაძლებლობა დაეკმაყოფილებინა კრედიტორი, მაგრამ ეს არ გააკეთა და გამოიყენა სსკ-ის 894-ე მუხლი. შედეგად, კრედიტორს სასამართლოსთვის მიმართვით გაეზარდა დანახარჯები. ხოლო, რადგან თავდებს ჰქონდა შესაძლებლობა ეს ხარჯები თავიდან აეცილებინა და განზრახ არ აიცილა იგი კანონის დანაწერის მიხედვით პასუხს აგებს.<sup>245</sup>

### **ბბ) სახელშეკრულებო დამატებითი მოთხოვნები - სსკ-ის 898 II გ) მუხლი**

ისეთი დამატებითი მოთხოვნები, როგორც არის, პროცენტები,<sup>246</sup> დანახარჯები, თავდები მხოლოდ მაშინ აგებს პასუხს თუ ეს პირდაპირ ან არაპირდაპირ გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან. ამასთან, შეთანხმება იმის თაობაზე, რომ თავდების პასუხისმგებლობა ზღვრული თანხის ფარგლებით არ შემოსაზღვრევა და ვრცელდება ასევე პროცენტებსა და დანახარჯებზე შესაძლებელია სტანდარტულ პირობებთან მოდიოდეს წინააღმდეგობაში (სსკ-ის 346-ე და 344-ე მუხლები).<sup>247</sup>

### **ე) თავდების პასუხისმგებლობა წინამორბედ თავდების მიერ ნაკისრი ვალდებულებისთვის**

სსკ-ის 897-ე მუხლი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ თავდებს თავდებად დაუდგეს სხვა პირი. წინამორბედი თავდები ამ დროს ახალი თავდებისთვის არის მოვალე. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში სოლიდარული თავდებობა არ არის სახეზე, რადგან თავდები კისრულობს არა მოვალის არამედ წინამორბედი თავდების პასუხისმგებლობისთვის.<sup>248</sup> რა თქმა უნდა, შენარჩუნებულია სსკ-ის 894-ე მუხლი, შესაბამისად, თავდები მხოლოდ მაშინ

<sup>244</sup> *MüKoBGB/Habersack*, 8. Aufl. 2020, BGB § 767 Rn. 12.

<sup>245</sup> *ახვლედიანი ზ.*, ვალდებულებითი სამართალი, მეორე გამოცემა, ჭანტურია ლ./ზოიძე ბ.(რედ), გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1999, 247-248.

<sup>246</sup> *რობაქიძე*, ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი, 553.

<sup>247</sup> *რუსიაშვილი გ.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gcc.ge, მუხ. 898, ველი 17.

<sup>248</sup> *რობაქიძე*, ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი, 558.

აგებს პასუხს თუ კრედიტორი შეეცდება წინამორბედი თავდებისგან იძულებითი წესით ვალდებულების შესრულებას.<sup>249</sup> ამასთან, წინამორბედი თავდები და ახალი თავდები პასუხს აგებენ ერთად, ისე როგორც თავდები აგებს პასუხს ძირითად მოვალესთან ერთად.<sup>250</sup>

## VII. თავდების რეგრესული მოთხოვნის საფუძვლები

### ა) ზოგადი

თავდები ვალდებულების შესრულებით ირიბად ათავისუფლებს მოვალეს.<sup>251</sup> სსკ-ის 905-ე მუხლით, თავდები კრედიტორის დაკმაყოფილების გზით იძენს მოთხოვნას ძირითადი მოვალის მიმართ. ხოლო, ძირითადი მოვალის შესაგებლები, რომლებიც გამომდინარეობს მოვალესა და თავდებს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობიდან ხელუხლებელი რჩება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კრედიტორი იცვლება კანონის ძალით და მის ადგილს იკავებს თავდები, ანუ, ხდება ე.წ. Cessio Legis.<sup>252</sup> კანონის ძალით ჩანაცვლების მიზანი ის გახლავთ, რომ თავდები არ უნდა იყოს „ვალდებულების შესრულების საბოლოო დაზარალებული.“<sup>253</sup> გარდა cession legis-ა, თავდებს ჩვეულებრივ შეუძლია მთავარ მოვალეს წაუყენოს მოთხოვნა შიდა ურთიერთობიდან გამომდინარე (თუ თავდებობა ემყარება დავალებას, რწმუნებულებას) და მოსთხოვოს მას ასევე ხარჯების ანაზღაურება. რა თქმა უნდა, თავდების სურვილზეა დამოკიდებული რეგრესული მოთხოვნის რომელ გზას აირჩევს.<sup>254</sup>

გარდა ამისა, როდესაც თავდები ასრულებს ვალდებულებას სანამ ვადამოსული გახდება მოთხოვნა, მას არ აქვს მოვალისგან რეგრესის წესით ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.<sup>255</sup> ანაზღაურების მოთხოვნის უფლება

<sup>249</sup> *ახვლედიანი ზ.*, ვალდებულებითი სამართალი, მეორე გამოცემა, ჭანტურია ლ./ზოიძე ბ.(რედ), გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1999, 246-247.

<sup>250</sup> *შენგელია რ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ვალდებულებითი სამართალი, კერძო ნაწილი, ტომი II, ჭანტურია ლ. (რედ.), თბ., 2001, მუხ. 897, 234.

<sup>251</sup> *MüKoBGB/Habersack*, 8. Aufl. 2020, BGB § 774 Rn. 4.

<sup>252</sup> *მესხიშვილი ქ.*, კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, თეორია და სასამართლო პრაქტიკა, ტომი I, თბ., 2020, 48.

<sup>253</sup> *კროპჰოლერი ი.*, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, § 774, ველი 3.

<sup>254</sup> *HK-BGB/Ansgar Staudinger*, 10. Aufl. 2019, BGB § 774 Rn. 2.

<sup>255</sup> *Brian D. Hulse*, After the guarantor pays: the uncertain equitable doctrines of reimbursement, contribution, and subrogation, 2016, 50.

წარმოიშობა მაშინაც თუ თავდები მხოლოდ ნაწილობრივ ასრულებს ვალდებულებას. ამასთან, თავდებზე გადადის მოგირავნის და იპოთეკარის უფლებებიც, თუ მოთხოვნა აღნიშნულით იყო უზრუნველყოფილი.<sup>256</sup>

## ბ) მოთხოვნა თავდებსა და მოვალეს შორის არსებული შიდა ურთიერთობის საფუძველზე

თავდების რეგრესული მოთხოვნის საფუძველი შესაძლებელია იყოს თავდებისთვის მინიჭებული რწმუნებულება ან დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება. ამ დროს თავდებს შესაძლებლობა აქვს მოითხოვოს დანახარჯების ანაზღაურება სსკ-ის 974-ე მუხლის საფუძველზე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მხოლოდ აუცილებელი ხარჯები ექვემდებარება ანაზღაურებას. გამონაკლისი ამ წესიდან დაიშვება მაშინ, თუ თავდებმა მოვალესთან დადებულ ხელშეკრულებაში მიუთითა, რომ ვალდებულებას თავად შეასრულებს და ხარჯებსაც დაფარავს.<sup>257</sup> შესაბამისად, როდესაც თავდები რეგრესული წესით ზემოაღნიშნულ გზა აირჩევს, მნიშვნელოვანია გააცნობიეროს, რომ მას პრეტენზიების წაყენების შესაძლებლობა აქვს მხოლოდ შიდა ურთიერთობის საფუძველზე და არა კრედიტორთან გაფორმებული ხელშეკრულებით.<sup>258</sup> შიდა ურთიერთობის საფუძველზე მოთხოვნის წაყენებისას მოვალეს შეუძლია სსკ-ის 905 II წინადადებიდან გამომდინარე, თავდებს დაუპირისპიროს შესაგებელი.<sup>259</sup>

## გ) სსკ-ის 905-ე მუხლი, როგორც რეგრესული მოთხოვნის საფუძველი

სსკ-ის 905-ე მუხლში საუბარია კანონისმიერ ცესიაზე (cesio legis), როდესაც კანონის ძალით გადადის თავდებზე მოთხოვნა. ამისთვის, თავდების მხრიდან რაიმე სახით ხელშეკრულების დადება ან შეთანხმება არ არის აუცილებელი.<sup>260</sup> თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია cesio

<sup>256</sup> *შენგელია რ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ვალდებულებითი სამართალი, კერძო ნაწილი, ტომი II, ჭანტურია ლ. (რედ.), თბ., 2001, მუხ. 905, 244.

<sup>257</sup> *რუსიაშვილი გ.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gcc.ge, მუხ. 905, ველი 2.

<sup>258</sup> *HK-BGB/Ansgar Staudinger*, 10. Aufl. 2019, BGB § 774, Rn. 2.

<sup>259</sup> *რუსიაშვილი გ., ქავშაია ნ.*, თავდების დაცვის მექანიზმები თავდებობის ურთიერთობის ფარგლებში, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 3/2020, 40.

<sup>260</sup> *ჭანტურია ლ.*, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., 2012, 198.

legis გამორიცხვა.<sup>261</sup> კერძოდ, როდესაც თავდები ნაწილობრივ აკმაყოფილებს კრედიტორს, ამ შემთხვევაში მას უნდა გადაეცეს ძირითადი მოთხოვნის მხოლოდ ნაწილი, თუმცა შესაძლებელია შეთანხმებით სხვაგვარი დანაწესის გათვალისწინება.<sup>262</sup> ცხადია, რომ როდესაც ერთ-ერთი თავდები ასრულებს ვალდებულებას ამ უკანასკნელს წარმოეშობა მოვალის მიმართ მოთხოვნა.<sup>263</sup> გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ თავდები გადახდით (427-ე მუხლი) ასრულებს თავის ვალდებულებას, რომელიც მასსა და კრედიტორს შორის გაფორმებული ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს, შესაბამისად, ამ გაგებით ძირითადი ვალდებულება არ შესრულებულა სკ-ის 373 II მუხლით, რადგან იგი მოვალეს უნდა განეხორციელებინა. ამიტომ, ძირითადი ვალდებულება ამ შესრულების მიუხედავად კვლავ არსებობს და არ შეწყვეტილა.<sup>264</sup>

კანონისმიერი ცესიის წარმოშობისთვის, უპირველესად, სახეზე უნდა იყოს ნამდვილი ხელშეკრულება.<sup>265</sup> იმ შემთხვევაში, როდესაც თავდები ასრულებს ვალდებულებას, მაგრამ ეს ვალდებულება ძირითად მოვალესა და კრედიტორს შორის აღარ არსებობს, შეწყდა ან ბათილია, ანუ შესრულებას სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია კრედიტორი ვალდებულია შესრულებული უკან დააბრუნოს გსკ-ის 812 (I) პარაგრაფით.<sup>266</sup> ამასთან, აღსანიშნავია, რომ რეგრესული მოთხოვნა ვერ იარსებებს, როდესაც თავდები ხანდაზმულ მოთხოვნას ასრულებს.<sup>267</sup>

მნიშვნელოვანია, განისაზღვროს რატომ არის სსკ-ის 905-თი რეგრესის განხორციელება უფრო კარგი, ვიდრე სსკ-ის 974-ეს I-ით მოცული დანახარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ კანონისმიერი ცესიის დროს, თავდები ასევე მოიპოვებს ყველა უზრუნველყოფის აქცესორულ საშუალებას.<sup>268</sup> არააქცესორული უზრუნველყოფის საშუალებები მხოლოდ მოთხოვნის შემთხვევაში გადადის თავდებზე (სსკ-ს 201-207-ე

<sup>261</sup> *HK-BGB/Ansgar Staudinger*, 10. Aufl. 2019, BGB § 774 Rn. 3.

<sup>262</sup> *HK-BGB/Ansgar Staudinger*, 10. Aufl. 2019, BGB § 774 Rn. 5.

<sup>263</sup> *MüKoBGB/Habersack*, 8. Aufl. 2020, BGB § 774 Rn. 25.

<sup>264</sup> *ჭანტურია ლ.*, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., 2012, 199.

<sup>265</sup> *HK-BGB/Ansgar Staudinger*, 10. Aufl. 2019, BGB § 774 Rn. 4.

<sup>266</sup> *MüKoBGB/Habersack*, 8. Aufl. 2020, BGB § 774 Rn. 9.

<sup>267</sup> *მესხიშვილი ქ.*, კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, თეორია და სასამართლო პრაქტიკა, ტომი I, თბ., 2020, 32.

<sup>268</sup> *რუსიაშვილი გ.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge, მუხ. 905, ველი 5.

მუხლები) და ისიც მხოლოდ მაშინ თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის შეთანხმებული.<sup>269</sup> აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც თავდები ნაწილობრივ ასრულებს ვალდებულებას, რეგრესის წესით მოთხოვნის უფლებას ის მხოლოდ კრედიტორის შემდგომ მოიპოვებს.<sup>270</sup> შესაბამისად, თუ თავდები სრულად არ ასრულებს ვალდებულებას მას პირდაპირ რეგრესის წესით მოთხოვნის უფლება არ აქვს (უფრო სწორად აქვს რიგით კრედიტორის შემდგომ).<sup>271</sup>

#### დ) რეგრესული მოთხოვნა თანათავდებობის დროს

სსკ-ის 896-ე მუხლი საუბრობს თანათავდებობა პასუხისმგებლობაზე და უთითებს, რომ ისინი პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები (463-ე მუხლი). სოლიდარული თავდებობა სახეზეა, როდესაც ორი ან მეტი პირი ერთი და იმავე ვალდებულებისათვის დგება თავდებად კრედიტორის წინაშე. შესაძლოა ეს მოხდეს სხვადასხვა დროს, მაგრამ მთავარია, რომ ერთ ვალდებულებას უზრუნველყოფდნენ თავდებები. ამასთან, როდესაც ერთ-ერთი სოლიდარული თავდები ვალდებულებას სრულად აკმაყოფილებს, შესრულებით იგი ათავისუფლებს სხვა თავდებებსაც. აღსანიშნავია, რომ წინამორბედ თავდებს კოდექსის 905-ე მუხლით გათვალისწინებული რეგრესული მოთხოვნის უფლება არ წარმოეშობა.<sup>272</sup> ურთიერთობაში, სადაც მრავალი თავდები არსებობს და ერთი იხდის საერთო ვალის სწორად განაწილებულ წილზე მეტს, მას წარმოეშობა მოთხოვნის უფლება სხვა თანათავდებების მიმართ.<sup>273</sup>

მიჩნეულია, რომ რადგან თავდებები სოლიდარულად აგებენ პასუხს, შიდა ურთიერთობაშიც რეგრესული მოთხოვნის ნაწილში იმავე პრინციპი გამოიყენება. კერძოდ, მოქმედებს სსკ-ის 473-ე მუხლი.<sup>274</sup> შესაბამისად, „როდესაც შეუძლებელია მოვალეთა პასუხისმგებლობის ოდენობის განსაზღვრა, ისინი

<sup>269</sup> *რობაქიძე*, ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი, 563.

<sup>270</sup> BGH ZIP 1990, 1067; Esser/Weyers, Schuldrecht BT II/1, მითითებულია: *რუსიაშვილი გ.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gcc.ge, მუხ. 905, ველი 5.

<sup>271</sup> *Brian D. Hulse*, After the guarantor pays: the uncertain equitable doctrines of reimbursement, contribution, and subrogation, 2016, 64.

<sup>272</sup> *რობაქიძე*, ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი, 557-559.

<sup>273</sup> *Brian D. Hulse*, After the guarantor pays: the uncertain equitable doctrines of reimbursement, contribution, and subrogation, 2016, 53.

<sup>274</sup> *რუსიაშვილი გ.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gcc.ge, მუხ. 905, ველი 9.

ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ თანაბარი წილით.<sup>275</sup> გადახდამდე თანათავდებს, რომელსაც პასუხს სთხოვს კრედიტორი, სსკ-ის 473 II მუხლის მიხედვით, აქვს თავისი თავდებობის ვალდებულებიდან წილობრივი გათავისუფლების მოთხოვნის უფლება.<sup>276</sup>

#### ე) რეგრესული მოთხოვნა სხვა უზრუნველყოფის საშუალების არსებობის პირობებში

კანონმდებელი უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ კრედიტორის მოთხოვნა ძირითადი მოვალის მიმართ უზრუნველყოფილი იყოს ერთი მხრივ თავდებობით, ხოლო, მეორე მხრივ, იპოთეკით. სსკ-ის 905 I მუხლით თავდებზე გადადის უზრუნველყოფის ყველა აქცესორული საშუალება.<sup>277</sup> ამასთან, იპოთეკის საგნის მესაკუთრეც კრედიტორის დაკმაყოფილების შემდეგ მოიპოვებს (292, 201 I მუხლი) თავდებობას.<sup>278</sup> მნიშვნელოვანია განისაზღვროს რა სამართლებრივი შედეგი დგება იმ შემთხვევაში, როდესაც კრედიტორს აკმაყოფილებს თავდები და რა ხდება მაშინ, როდესაც იპოთეკარი აკმაყოფილებს კრედიტორის მოთხოვნას. მსგავსს სამართლებრივ შემთხვევას კანონი არ აწესრიგებს. ადრე საკითხი წყდებოდა თავდების სასარგებლოდ, ანუ კრედიტორის დაკმაყოფილების შემდეგ ის იძენდა იპოთეკით უზრუნველყოფილ მოთხოვნას და რა თქმა უნდა, მესაკუთრე ითმენდა იპოთეკის საგნის რეალიზაციას. ხოლო, იპოთეკარის გადახდის შემთხვევაში, ამ უკანასკნელზე მოთხოვნა გადადიოდა თავდებობით უზრუნველყოფის გარეშე. აღნიშნული დაშვება ეფუძნებოდა იმ ვარაუდს, რომ თავდებს მეტი დაცვა ესაჭიროება, ვიდრე უძრავი ქონების მესაკუთრეს.<sup>279</sup> დღევანდელი შეხედულებით, რადგან თანაბარმნიშვნელოვანია სანივთო და ვალდებულებითი უზრუნველყოფის საშუალებები,<sup>280</sup> თავდებსა და მესაკუთრეს შორის ურთიერთობაში გამოიყენება

<sup>275</sup> *მესხიშვილი ქ.*, კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, თეორია და სასამართლო პრაქტიკა, ტომი I, თბ., 2020, 38.

<sup>276</sup> *რუსიაშვილი გ., ქავშაია ნ.*, თავდების დაცვის მექანიზმები თავდებობის ურთიერთობის ფარგლებში, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 3/2020, 41.

<sup>277</sup> *ჭანტურია ლ.*, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., 2012, 199.

<sup>278</sup> *რუსიაშვილი გ., ქავშაია ნ.*, თავდების დაცვის მექანიზმები თავდებობის ურთიერთობის ფარგლებში, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 3/2020, 43.

<sup>279</sup> *რუსიაშვილი ი., სირდაძე ლ., ეგნატაშვილი დ.*, სანივთო სამართალი, კაზუსების კრებული, თბ., 2019, 408-409.

<sup>280</sup> *კროკოლერი ი.*, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, § 774, ველი 8.

სსკ-ის 473-ე მუხლი, ისევე, როგორც თანათავდებებს შორის რეგრესიას. აღნიშნული შეხედულება გაცილებით ლოგიკური და დასაბუთებულია.<sup>281</sup> გასათვალისწინებელია, რომ თავდების მიერ კრედიტორის დაკმაყოფილების შემთხვევაში ეს უკანასკნელი იპოთეკით ან გირავნობით უზრუნველყოფილ მოთხოვნას იძენს, თუ, რა თქმა უნდა, კრედიტორს უარი არ აქვს ნათქვამი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე. საპირისპირო შემთხვევაში, თავდები მოვალის მიმართ მოთხოვნას არაუზრუნველყოფილი სახით იძენს.<sup>282</sup>

---

<sup>281</sup> *რუსიაშვილი გ., ქავშაია ნ.*, თავდების დაცვის მექანიზმები თავდებობის ურთიერთობის ფარგლებში, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 3/2020, 44.

<sup>282</sup> *მესხიშვილი ქ.*, კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, თეორია და სასამართლო პრაქტიკა, ტომი I, თბ., 2020, 46.

## VIII. დასკვნა

ამრიგად, თავდების დაცვითი მექანიზმების გამოყენებას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია. აღნიშნული საკითხის დეტალური შესწავლა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იურიდიულ სფეროში დასაქმებული პირებისთვის, არამედ ჩვეულებრივი მოქალაქეებისთვისაც, რომლებიც ხშირად გაუზრებელი ნაბიჯის გამო ხდებიან კრედიტორის ბერკეტებში მოქცეულნი.

სამაგისტრო ნაშრომში თავმოყრილია ყველა ის სამართლებრივი შესაძლებლობა, რომლითაც თავდები არის აღჭურვილი: როგორც საკანონმდებლო მიდგომა, ასევე დადგენილი სასამართლო პრაქტიკა. კონკრეტული ნაშრომის ფარგლებში განხილულია თავდებობის ინსტიტუტის არსი და სამართლებრივი ბუნება. ამასთან, შედარებულია აღნიშნული ინსტიტუტი გერმანულ სამართალში მოქმედ თავდებობის ინსტიტუტთან და ნაწილობრივ ანგლო-ამერიკულ სამართალთან. შედარების შედეგად ნათელი გახდა, რომ თავად ინსტიტუტის არსი და მიდგომა უმეტეს წილად ერთგვაროვანია.

გარდა ამისა, ნაშრომში აღწერილია თავდების პასუხიმგებლობის ფარგლები, რაც ერთობ მნიშვნელოვანია. ამასთან ყურადღება დაეთმო რეგრესული მოთხოვნის საფუძვლებს, რაც დღესდღეობით მეტად აქტუალური საკითხია. განსაკუთრებით ხაზგასასმელია რეგრესული მოთხოვნა თანათავდებობის დროს და უზრუნველყოფის სხვა საშუალების არსებობის პირობებში. ეს უკანასკნელი სწორედ სასამართლო პრაქტიკის გზით ჩამოყალიბდა. ზოგადად, სასამართლოს როლი და ფუნქცია ერთობ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ამ ინსტიტუტისთვის, არამედ ყველა სამართლებრივი ურთიერთობისთვის. ამასთან, კვლევისას ყურადღება დაეთმო სოლიდარული თავდებობის ცნებას და სამართლებრივ ბუნებას. სწორედ ამ უკანასკნელ შემთხვევაში აგებს თავდები პასუხს სსკ-ის 894-ე მუხლზე მითითების გარეშე. ყველაფერთან ერთ ნაშრომშინ ხაზგასმულ იქნა, რომ არსებობს თავდებობის არაერთი სპეციალური ფორმა, განსაკუთრებით აღსანიშნავია პარტნიორის თავდებობა. ვფიქრობ, აღნიშნული ცალკე კვლევის საგანი შესაძლოა გახდეს. მოკლედ კი იმის თქმა შეიძლება, რომ იურიდიული პირის პარტნიორი, რომელიც თავდებად უდგება საზოგადოებას ისეთივე დაცვას იმსახურებს, როგორც ჩვეულებრივი პირი.

კვლევამ ცხადყო, რომ რეალურად თავდებს აქვს დაცვითი მექანიზმები, თუმცა ის თუ რამდენად გამოიყენებს მას თავად მის ნება სურვილზეა



დამოკიდებული. თუმცა კანონი სწორედ კრედიტორის დაცვითი ფუნქციიდან გამომდინარე ითვალისწინებს იმ გამონაკლისს შემთხვევებს, როდესაც გარკვეულ გარემოებებზე აპელირების შესაძლებლობა არ აქვს თავდებს. აღნიშნული ემყარება იმ დაშვებას, რომ თავდები ძირითადი ხელშეკრულების მხარე არ არის. კანონმდებელი ცდილობს დაიცვას ოქროს შუალედი, ერთი მხრივ, კრედიტორის ინტერესებსა და მეორე მხრივ, თავდების დაცვით ფუნქციებს შორის. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია ერთგვარი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბება. მართალია რიგ საკითხებთან მიმართებით არსებობს დადგენილი პრაქტიკა, თუმცა სამართალი ცოცხალი მექანიზმია და არ შეიძლება რომელიმე გადაწყვეტილების არასწორმა ინტერპრეტაციამ განაპირობოს შემდგომში მთლიანად ინსტიტუტის მიმართ პრაქტიკის ჩამოყალიბება და ნორმის არასწორად განმარტება.

საბოლოოდ, მნიშვნელოვანია თავდებმა გაიზროს თავისი წილი პასუხისმგებლობა. ყველა სუბიექტი კანონის წინაშე თანაბრად აგებს პასუხს საკუთარ ნაბიჯებსა და განხორციელებულ ქმედებებზე. კანონმდებელი დაიცავს სუბიექტს, მაგრამ მას უნდა ხელეწიფებოდეს ნორმაზე მითითება და რაც მთავარია მითითება საფუძვლიანი უნდა იყოს.

**IX. ბიბლიოგრაფია**  
**ქართულენოვანი ლიტერატურა**

- **ახვლედიანი ზ.**, ვალდებულებითი სამართალი, მეორე გამოცემა, ჭანტურია ლ./ზოიძე ბ.(რედ), გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1999.
- **თუმანიშვილი გ.**, შესავალი საქართველოს კერძო სამართალში, ნაწილი I, თბილისი, 2010.
- **კროპკოლერი ი.**, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მთარგმნელები: დარჯანია თ./ჭეჭელაშვილი ზ., თბილისი, 2014.
- **ლაკერბაია თ., ზაალიშვილი გ., ზოიძე თ.**, მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი (ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა), ზოიძე ბ. (რედ), თბილისი, 2018.
- **ლიუტრინგჰაუსი პ.**, მოსამართლეთა სემინარი, სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების მიღების მეთოდოლოგია, 2007.
- **მესხიშვილი ქ.**, კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, თეორია და სასამართლო პრაქტიკა, ტომი I, თბილისი, 2020. ხელმისაწვდომია: <lawlibrary.info/ge>
- **ნაჭყებია ა.**, სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2015-2019), თბილისი, 2019. ხელმისაწვდომია: <lawlibrary.info/ge>
- **რუსიაშვილი ი., სირდაძე ლ., ეგნატაშვილი დ.**, სანივთო სამართალი, კაზუსების კრებული, თბილისი, 2019. ხელმისაწვდომია: <lawlibrary.info/ge>
- **რუსიაშვილი გ.**, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gcc.ge, მუხ. 891-905.
- **რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა.**, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, წიგნი III, ჭანტურია ლ. (რედ) თბ., 2019.
- **შენგელია რ.**, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ვალდებულებითი სამართალი, კერძო ნაწილი, ტომი II, ჭანტურია ლ. (რედ.), თბ., 2001.

- *შოთაძე თ.*, სანივთო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისთვის, ჯუღელი გ. (რედ.), გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014.
- *ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ.*, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი II, ნინიძე თ. (რედ.), გამომცემლობა „ჯისიაი“, თბილისი, 2001.
- *ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ.*, სახელმძღვანელო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისთვის, ჯუღელი გ. (რედ.), გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2014.  
ციტ.: რობაქიძე, ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ჯანაშია, სახელმძღვანელო სამართალი.
- *ჭანტურია ლ.*, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2012.

### სტატიები

- *რუსიაშვილი გ.*, თავდების ვალის უზრუნველყოფა, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 2/2021, 10. ხელმისაწვდომია: <[www.lawjournal.ge](http://www.lawjournal.ge)>
- *რუსიაშვილი გ., ქავშაია ნ.*, თავდების დაცვის მექანიზმები თავდებობის ურთიერთობის ფარგლებში, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 3/2020, 32.
- *რუსიაშვილი გ., ქავშაია ნ.*, თავდებობის ხელშეკრულების დადება და მისი შინაარსი, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 2/2020, 25.
- *რუსიაშვილი გ.*, თავდებობის ხელშეკრულება, მისი გამიჯვნა მსგავსი ტიპის შეთანხმებებისაგან და სპეციალური ფორმები, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 1/2020, 20.
- *რუსიაშვილი გ., ქავშაია ნ.*, აქცესორული ბმა თავდების ძირითად ვალდებულებასა და თავდების პასუხისმგებლობას შორის, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 4/2019, 22.

## ჟურნალი

- *მესხიშვილი ქ.*, თავდებობის სამართლებრივი ასპექტები, თეორია და სასამართლო პრაქტიკა, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა 6/2017, 69.

## ინგლისურენოვანი ლიტერატურა

- *Brian D. Hulse*, After the guarantor pays: the uncertain equitable doctrines of reimbursement, contribution, and subrogation, 2016.
- *Christoph Henkel*, Personal Guarantees and Sureties between Commercial Law and Consumers in the United States, Mississippi College School of Law MC Law Digital Commons, 2014. ხელმისაწვდომია: <<http://dc.law.mc.edu/faculty-journals>>  
ციტ.: *Henkel*, Personal Guarantees and Sureties between Commercial Law and Consumers in the United States, Am. J. Comp. L. P., 2014.
- *Cherednychenko O.*, Fundamental Rights, Contract Law and the Protection of the Weaker Party, 2007
- *E. J. Cohn*, validity of guarantees for debts of minors, Modern law review, vol. 10, Jan. 1947.
- *Lord Bingham, Günter Hirsch*, The German Law of Contract, A Comparative Treatise, Second Edition, Oxford and Portland, Oregon, 2006.  
ციტ.: *Bingham/ Hirsch*, The German Law of Contract, A Comparative Treatise.
- *Pieck Manfred*, A Study of the Significant Aspects of German Contract Law, Annual Survey of International & Comparative Law, Volume 3, Issue 1, 1996. ხელმისაწვდომია: <<http://digitalcommons.law.ggu.edu/annlsurvey/vol3/iss1/7>>  
ციტ.: *Pieck, Manfred* (1996) A Study of the Significant Aspects of German Contract Law, Annual Survey of International & Comparative Law: Vol. 3: Iss. 1, Article 7.

## გერმანულენოვანი ლიტერატურა

- **Schulze, Reiner/Dörner, Heinrich/Ebert, Ina/Eckert, Jörn/Hoeren, Thomas/Kemper, Rainer/Saenger, Ingo/Schulte-Nölke, Hans/Staudinger, Ansgar**, Bürgerliches Gesetzbuch 10. Auflage 2019. ხელმისაწვდომია: <beck-online.beck.de>  
ციტ.: *HK-BGB/Ansgar Staudinger*, 10. Aufl. 2019, BGB §, Rn.
- **Habersack, Mathias/Papier, Hans-Jürgen/Raude, Karin/Schäfer, Carsten/Schmidt, Karsten/Schwab, Martin/Shirvani, Foroud/Wagner, Gerhard**, Münchener Kommentar zum BGB, 8. Auflage 2020. ხელმისაწვდომია: <beck-online.beck.de>  
ციტ.: *MüKoBGB/Habersack*, 8. Aufl. 2020, BGB §, Rn.
- **Jauernig, Othmar/Stadler, astrid**, Bürgerliches Gesetzbuch 18. Auflage 2021. ხელმისაწვდომია: <beck-online.beck.de>  
ციტ.: *Jauernig/Stadler*, 18. Aufl. 2021, BGB §, Rn.
- **Ebenroth, Carsten Thomas/Boujong, Karlheinz/Joost, Detlev/Strohn, Lutz**, Handelsgesetzbuch 4. Auflage 2020. ხელმისაწვდომია: <beck-online.beck.de>  
ციტ.: *Ebenroth/Boujong/Joost/Strohn*, Handelsgesetzbuch 4. Aufl. 2020, Rn.
- **Schimansky, Herbert/Bunte, Hermann-Josef/Lwowski, Hans Jürgen**, Bankrechts-Handbuch 5. Auflage 2017. ხელმისაწვდომია: <beck-online.beck.de>  
ციტ.: *Schimansky/Bunte/Lwowski*, Bankrechts-Handbuch 5. Aufl. 2017, Rn.

## სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

- თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 28 თებერვლის განჩინება საქმეზე №2ბ/5372-16.
- თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 21 ნოემბრის განჩინება საქმეზე №2ბ/3694-18.
- თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №2ბ/3772-14.
- თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 09 სექტემბრის განჩინება საქმე №2ბ/2202-14.

- თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №28/4686-13.
- თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 05 დეკემბრის განჩინება საქმეზე № 28/3447-12.

### *საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები*

- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1801-2019.
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-401-2019.
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 5 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-97-2019.
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-647-647-2018.
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 05 ივლისის გადაწყვეტილება №ას-726-2019.
- უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილება №ას-1172-2018.
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 08 მაისის განჩინება საქმეზე №ას-174-2019.
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 10 თებერვლის განჩინება, საქმეზე №ას-1153-1108-2016.
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-1087-1018-2012.

### *ინტერნეტ რესურსი*

- [www.beck-online.beck.de](http://www.beck-online.beck.de)
- [www.gccc.ge](http://www.gccc.ge)
- [www.library.court.ge](http://www.library.court.ge)
- [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)
- [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

- [www.tsu.ge](http://www.tsu.ge)
- [www.researchgate.net/publication/304461093](http://www.researchgate.net/publication/304461093)
- [www.jstor.org/stable/3314322](http://www.jstor.org/stable/3314322)
- [www.lawjournal.ge/](http://www.lawjournal.ge/)
- [digitalcommons.law.ggu.edu/annlsurvey/vol3/iss1/7](http://digitalcommons.law.ggu.edu/annlsurvey/vol3/iss1/7)
- [dc.law.mc.edu/faculty-journals](http://dc.law.mc.edu/faculty-journals)